წიგნს ვუძღვნი დედის,
ვივა საიქოძის ხსოვნას

ელა გოჩიაშვილი

ცხოვრებაგაუმტარი

ლექსები

2013

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თამარ ბარბაქაძე

ცხოვრებაგამტარი

ღუმელიდან გადმოვარდნილ
წითელ ნაკვერჩხალს
თითებით რომ დაეწვდებოდა, _
სწრაფად, გულგრილად,
ვითომც არაფერი! _
და უკანვე მიუგდებდა
დედამუგუზალს;
არ გეწვის, ბები? _ ავცქეროდი...
გავიდა დრო და მოვიდა დრო:
მეც ვისწავლე
ცეცხლთან
 უსაფრთხო ურთიერთობა.
აღარც მე, ბები!
აღარც მე მეწვის ასე იოლად;
დაჭკვიანდნენ ჩემი ხელები,
დაეშმაკდნენ,
გულუბრყვილოდ აღარ იტკენენ;
აღარც გაქცევა ესწავლებათ,
აღარც დამალვა;
თან ხომ,
კიდევაც დამიჩლუნგდნენ,
დაუხეშდნენ ტკივილებისთვის...
ის კი, შიგნით, _

რის თარგმნასაც
სხეულით ვცდილობთ,
ის რად დარჩა
მარად უგარსო,
გამუდმებით ახლად გაფცქვნილი;
სულ დაფუფქული რატომ დააქვს
უხილავი, ჩვილი თითები,
რად ვერ ისწავლა
ცეცხლთან
უსაფრთხო ურთიერთობა...

2012. 8 მარტი

ცხოვრებაგაუმტარი

ნიკა მწარიაშვილს

მლაშე წყალშიც რომ მოხარშო,
ზედმეტ მარილს
თევზი
მაინც არ მიიღებსო, _
გამიგია, თორემ, რა ვიცი,
არ მიცდია გადამოწმება.
ღირდა კი, ვითომ,
ჭეშმარიტების დასადგენად

თუნდაც ერთი
ჭეშმარიტი თევზის გაწირვა!
მჯეროდეს, როგორც გამიგია;
ეს უფრო კარგი ამბავია, _
სასარგებლო,
უფრო ჭკუის სასწავლებელი.
თევზმა _ თევზისთვალებიანმა,
ამ _ პირშიწყალჩაგუბებულმა,
ახლა კიდევ _
მარილწყალში მოთუხთუხემ,
სიბრძნით
როგორ უნდა მაჯობოს!
ესეც რომ თავს არ დაიმლაშებს!
... ნუ შეეცდები,
გაეპარო ცხოვრებას ჩუმად,
ფეხაკრეფით;
არ გაგატარებს, _ ნაბულზეა;
ძაღლზე უფრო გულძაღლია
ეს დალოცვილი.
ჩაიცვი რამე _ გაუმტარი,
და მოუშვი;
მოუშვი და
დაბამბული მკლავი მიეცი, _
სულ დაბამბულ მკლავზე დაღალე...
არ ჩაუარო!
შეეგებე,

შესცინე,

ოღონდ,

ჩაიცვი რამე _ ცხოვრებაგაუმტარი.

2012. 2 მარტი

ტორტილა ფლეტი

რა კარგია ტორტილა ფლეტში!

რა კარგია ყველაფერი

ტორტილა ფლეტში!

რა ლამაზია

შიმშილი და მიუსაფრობა,

ეს ალალი ქურდბაცაცობა,

სპეტაკი სიძვა,

გულუბრყვილო ვერაგობანი...

რა კარგია ტორტილა ფლეტში!

რა კარგია ადამიანიც
ტორტილა ფლეტში! _
მარტო გარედან იჭუჭყება,
ჭუჭყის ქვეშ, _ ბრწყინავს...
რა კარგია ტორტილა ფლეტში! _
რა ყოჩაღად იგერიებს
თევზის სუნით აქოთებულ სანაპიროს
ნემსიწვერების ნაზი სურნელი...
რა კარგია ტორტილა ფლეტში!
რა კარგია ნესტიან თხრილში
თბილ სიზმრებზე თავის მიდება...
რა კარგია,
როცა სიცოცხლე ცოტაღაა,
ერთი პირის გასველებაღა,
გალონის ძირში ჩარჩენილი ღვინოსავით,
და შეგიძლია გამოთრობა
ცოტა სიცოცხლით...
რა კარგია ტორტილა ფლეტში!
რა კარგია,
რა ლამაზია,
რა ადვილია,
როცა
სტაინბეკის კალამს ჰკიდიხარ
ცრემლის წვეთივით
და არა _ ცხოვრებას,
რომელიც ცხოვრებაა,

და მწიფს სადღაც,
უფლისგან შოორს,
გარე ტოტებზე, _
შობის ხსნილივით მსუყე,
დიდმარხვის ხსნილივით ქიშმიშებიანი.

2012. 2 აპრილი

მძიმე ალაყაფი

მამა ადამ ახალაძეს

ვერა, უფალო,
წმინდა მიწას ვერ მოვილოცებ,
მაგრამ მეც მინდა
შენი დიდი მადლი,
მეც მინდა.
მცირედმორწმუნე რომ არ ვიყო,
ხელში ჯოხით და ზურგზე – აბგით,
ფეხშიშველი,
გზას ტანტალით უნდა მოვდევდე;
მაგრამ, მე ვარ მცირედმორწმუნე.
ერთადერთი, რაც მაბადია,

ჭერია და, – ჭერს ვერ მოვიშლი,
რადგან მე ვარ მცირედმორწმუნე.
ამოდენა მომლოცველში
არც არავინ მახსენდება, –
დაბრუნებული,
შიშველ ქვაზე ჩამომჯდარიყოს.
ბრწყინავს ავიაქარავანი, –
ცის ფრინველს და ველის შროშანს
იმათ შორის
არვინ ჩამოჰგავს;
ხელში ვარდივით მოგიზგიზე
ღვთაებრივი ცეცხლის ფრიალით, –
სულ მდიდრები პილიგრიმობენ.
ღარიბების ყარიბობა არ გამიგია.
ვერა, უფალო,
ვერცხლისფერი ლაინერით ვერც გიპოვიდი,
უფრო შორს გეძებ, –
საკუთარი სისხლივით ახლოს . . .
ვერა, უფალო,
ეკლესიას ვერ აგიშენებ;
ვერა, უფალო,
ვერც ერთადერთ სამოსს გავიხდი,
რომ შენ შეგმოსო, –
რა ვქნა, მრცხვენია სიშიშვლისა.
მე ვინ მკითხა ვაშლის ამბავი!
ვაშლი უჩემოდ შეიჭამა,
მაგრამ მას აქეთ
სიშიშვლისა მრცხვენია, მამავ!
ვერა, უფალო,

ვერც ყველა მუჭას შევეწევი,
ჩემკენ გამოწვდილს, –
ჩემი წყალობის მოლოდინი,
როგორც სიო,
პირგახსნილი კოკორივით რომ შეატოკებს . . .
ვერა! ვერა! ვერა!
ან მაპატიე,
ან სახლის კარზე
ასე ხშირად ნუ მიკაკუნებ,
ყოველ ნაბიჯზე
მოწყალებას ნუ მთხოვ, უფალო!
მე ღარიბი ვარ,
შენ კი – ბევრი . . .
მაინც მინდა
შენი დიდი მადლი,
მეც მინდა.
. . . სანამ დახლებს
კიდევ ერთხელ ააყირავებ,
ყირაზე დგას აქაურობა.
დედ-მამით ობოლ სამშობლოდან
გზა პირველი სამშობლოსაკენ, –
ასავლელია.
ჰკიდია მძიმე ალაყაფი
აფიცრულ ზეცას . . .
თუ ყვითელი გასაღები ერგება მანდაც,
თუ შენი მადლიც
ხერხით და ღონით საშოვნელია,
თუ არაფერიც არ აიწონა
სასწორის პინას

ბუმბულივით ვერდაჩნეულმა, –
რაც მარცხენამაც არ იცოდა
და მხოლოდ შენთვის იყო საცნაურ . . .
როგორ იქნება? –
ჩაიჟანგება ღარიბთათვის კარის კლიტენი?
გაეტევიან ნემსის ყუნწში აქლემები?

2011. 6 მაისი

გაჩერებაზე

... თქვა, რომ ნანობდა;
ნანობდა, რომ ბევრი იფიქრა.
რომ გვიან მიხვდა:
ერთადერთი,
რაც ცხოვრებას არ ჭირდება, _
ანალიზია.
რაც თქვა, ეს იყო.
დანარჩენი აღარ უთქვამს,
მაგრამ ისმოდა.
გაჩერებაზე,
შორიახლო მომლოდინე მგზავრებისათვის

არაფერიც არ ხდებოდა.
მხოლოდ მე ვგრძნობდი,
მე ვხედავდი:
ქალი, რომელიც მშვიდად იდგა,
როგორ გრგვინავდა და ბობოქრობდა,
რა დაუნდობლად წიხლავდა და
კორტნიდა და
წყევლიდა და
აფურთხებდა საკუთარ იღბალს.
მესმოდა, როგორ გაჰკიოდა
ქალი, რომელიც ჩუმად იდგა.
გაჰკიოდა, რომ გვიანია...
რომ ალაგდა უკვე ცხოვრება, _
სუფრასავით,
სანამ ფიქრობდა,
და იმისი სუფთა თეფშიც
თან გაიყოლა...
გაჰკიოდა,
რომ უკვე ქალი აღარ არის:
მზე _ სამკაულად მოსახმარი,
ღუმელად ექცა;
რომ უკვე ქალი აღარ არის, _
ლილიფარას ყვავილია,
ლილიფარას ყვავილივით
სულ მზისაკენ უჭირავს ძვლები...
გაჰკიოდა, რომ მის სახლში,

ამ ხნისაა და,
არასოდეს დაღამებულა,
რადგან არასდროს არ ღამდება
მარტოქალის საძინებელში,
არ ღამდება, _ ბნელდება მხოლოდ...
გაჰკიოდა,
რომ იმისი თეთრეულის
მდუღარე თოვლზე
ალუბალი არ გასრესილა...
რომ არც საწოლი დავიწროვდა...
რომ ვერასოდეს იყო სუსტი...
რომ სარკესთან, შემოსასვლელში,
საკიდის ძირას, _
დაქარგული ჩუსტების გვერდით
არასოდეს უცხოვრიათ
დიდ, მძიმე ფოსტლებს...
რომ მისი ძილის კუნჭულებში
გამუდმებით დაძვრებოდა შიშის თაგვი
და ძილს უხრავდა...
გაჰკიოდა,
რომ ფუი, ბევრ ფიქრს!
დათვლილ ნაბიჯებს!
ასჯერ გაზომვას!
არც ერთხელ გაჭრას!.....
გაჰკიოდა. მე _ ვუსმენდი.
მე რას ვიტყოდი! _ ჩუმად იდგა.

ერთადერთი,
რაც ცხოვრებას არ ჭირდება,
ანალიზია. _
რაც თქვა, ეს იყო.

2012. 26 აპრილი

კრეპჟორჟეტივით

აი, მიწა! _
მამაჩემის
ცალუღელა საფლავის გვერდით:
მყეფარი მიწა!
ავი მიწა!
მშიერი მიწა!
აი, მიწა, რომელიც მე,
ადრე თუ გვიან,
ჭიპლარზე უნდა გამომებას
და სიკვდილამდე მეტარებინოს...
აი, მიწა, _ საკაბე მიწა,
გაუჭრელი,
დედაჩემის კარადაში გადანახული
კრეპჟორჟეტივით.

2012. 17 მარტი

* * *

ვარდკაჭაჭა რაღაა და რომელიაო! _
იცი, რამდენს ვაძებნინე
შენი თვალები
ბოტანიკის ატლასებში
და ლოკოკინას ნიჟარებზე ამხედრებულ
მინდვრისპირებში,
ვარდკაჭაჭა დედაჩემო...

2012. 16 მარტი

* * *

ნეტა, ზამთარში არ მოვკვდებოდე,
შვილებოო, _
რა გაათბობს მაღლა სახლსო,
პანაშვიდებზე
ხო დაგეყინათ ფეხებიო,
რაღა ვქნა,
რო დამიცივდეთო...

2012. 16 მარტი

წესრიგი

არასოდეს არ ვყოფილვარ
ვერცხლისწყალივით დიასახლისი,
ხელ-ფეხიდან
ნაპერწკალი
არ დამცვენია;
მაინც ესწრება, – წესრიგია.
წესრიგია, – ვინ არის აქ
თავდაყირა სახლის დამცემი;
ჭერზე ვინ დადის;
აქ ვინ არის შპალერის რისხვა, –
ნეკერივით ნედლ თითებში
ჩაბღუჯული ფლომასტერით
თავზარს ვინ დასცემს . . .
აუტანელი წესრიგია, –
სუნთქვაც კი მიჭირს,
ძლივს მივათრევ
ამსიმძიმე თავისუფლებას.
წესრიგია;
წესრიგია;
წესრიგია.
რა იქნება,

ერთხელ რაღაცას ვერ მივაგნო!
წესრიგია, –
დაუდევრად შენახული ნივთიც
მპოულობს:
მე თუ ვერა,
ჩემს ხელებს მაინც ახსენდებათ.
წესრიგია, –
ერთხელ გემოზე ვერ ავრიე,
ვერ იქნა და ვერ დავამყარე
ნამდვილი ქალის საკადრისი
უწესრიგობა.
აუმღვრეველი წესრიგია,
სულ წესრიგია,
იმ სახლში მუდამ წესრიგია,
სადაც პატრონი
ლიფტიდანვე ხელჩანთაში
გასაღებს ეძებს,
და არასოდეს აკაკუნებს
საკუთარი სახლის კარზე
და შიგნიდან გაღებული კარი
არ იცის.

2011. 25 იანვარი

მაყუჩიანი სიყვარული

...როცა სიბრმავემ აღარ გაჭრა,
ყველას ერთბაშად აღმოაჩნდა
აბსოლუტური მხედველობა;
ძაღლსა და კატას გამოაბეს
გაქუცულ კუდზე
და ღობე-ღობე ათრევინებენ...
აბა, ვის გიყვართ
ამადეო მოდილიანი! _
ჩამოგლიჯეთ კალენდრებიდან!
ჩამოფხიკეთ პოსტერებიდან!
ჩამორეცხეთ სამორინეს
და სასტუმროს ფასადებიდან!
გაზეთებიდან გააქრეთ და
ჟურნალებიდან
და უძირო საიტებიდან...
შეინახეთ,
გადამალეთ,
გააძვირეთ მოდილიანი!
...როცა სიბრმავემ აღარ გაჭრა,

საყოველთაო სიყვარული დაუმიზნეს, _

მაყუჩიანი,

მკვლელი,

ვერაგი,

როგორც ჯიბიდან ნასროლი ტყვია.

2012. 10 მარტი

* * *

წყალნი რომ წავლენ
და წამოვლენ
და ქვიშანი რომ დარჩებიან,
განძი სად მიდის, განძეული!
განძი ფსკერზე დაიმარხება.
ან მოხდება და
ან არ მოხდება, _
ოკეანე ამოყირავდეს:
ამოყაროს,
ამოანათოს...
ან მოხდება და
ან არ მოხდება, _
გამოვიდეს ვინმე _ ნათელი:
შეტოპოს,
ჩადგეს,
და ფსკერამდე უწვდინოს ხელი...

2012. 17 მარტი

უარი ეთქვას!

გალაკტიონ ტაბიძის განცხადება
საქართველოს განათლების კომისარს:
რადგან ვიმყოფები მეტისმეტად შევიწროებულ
მდგომარეობაში უტანთსაცმელობით და უფეხსაც-
მელობით, უმორჩილესად გთხოვთ, აღძრათ
შუამდგომლობა... გამიხსნას კრედიტი... ტანისა-
მოსისა და ფეხსაცმელის მისაღებად. ფულს ნაწილ-
ნაწილად მიიღებენ თვით ჩემგან... იმედი მაქვს, მხედ-
ველობაში მიიღებთ ჩემს მდგომარეობას.

პატივისცემით გალაკტიონ ტაბიძე
1924 წ. 24 მარტი

განკარგულება: „უარი ეთქვას!"

მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, თუ არ დაგღალო,
მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, – შურით მღუარი,
პალტო კი არა, გიჟის კვართი თუ არ ჩაგაცვა,
თუ არ გიშხუვლო მათრახივით: „ეთქვას უარი!"

შენი ვალებით პირთამდე სავსემ,
თუ არ ჩაგიდგა ყველა დროში თითო ფაცერი,
ჩემგან გაწირულს, თუ სამშობლოდ არ მოგაჩვენო

თოვლი ირიბი და ალმაცერი.

თუ არ გავერთო შენი გაძლებით,
თუ არ დაგძახო ბეწვის ხიდზე: „პოეტო, ანტრე!"
მაშინ სამშობლო აღარ ვყოფილვარ,
შენ თუ სიკვდილი არ მოგანატრე!

კლაკიორების ბრბოებისგან ტაშის მყიდველთა
ფუყე დიდებით ჩამოჟამული, –
თუ არ დაყრუვდა შენ წინაშე, თუ არ დაბრმავდა,
თუ არ დამუნჯდა, რაა მამული.

უარი ეთქვას გ.ტაბიძეს! როგორც წესია:
მოკვდავს – სასახლე, უკვდავს – ბოსელი;
აჰა, მამულის შხამიანი ღორღი და ქვიშა, –
შენი პური და შესამოსელი!

იარე ახლა ფეხშიშველამ... „გზა არის ცხელი..."
წითლად გაკვალე მარადისობა...
ფეხისგულებით არა მხოლოდ ცვარი მამულის,
მისი ეკლებიც უკეთ იცნობა.

პალტო კი არა, გიჟის კვართი თუ არ ჩაგაცვა,
თუ არ გიშხუვლო მათრახივით, – „ეთქვას უარი,"
მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, თუ არ დაგღალო,
მე ნუ ვყოფილვარ საქართველო, – შურით მღუარი.

...თუ გაპატია, რომ გიცნო და თვითვე აღმართა
დაფნა, საშენოდ შემორკალული,

თუ თვითმკვლელივით არ მიგაგდო ღია სარკმელთან,
თუ გაპატია, რომ უყვარხარ, – რაა მამული...

2007. 11 მარტი

მათქმევინე, დე!.

ქართველ პოეტებს

სამშობლო ხარ! _ ამას აღარ ეშველება,
მაგრამ, თუ არ მოგვიკითხავ დიდხანს,
მე წინდაწინ მებრალები იმ დღისათვის,
როცა მოგვიკითხავ.

პოეტი ვარ... შენი სიოც გადამძალავს,
შენი ცერად შემოხედვაც დამჭრის;
ვმალავ ლექსებს საქაღალდის ფსკერზე, რადგან,
ფსევდონიმში დასამალი რა მჭირს!

სანამ ჩემი სიყვარულის გეშინია,
დგას "ჭკვიანი" და აღლუმი მიჰყავს,
სანამ თვითონ არ მიმხვდარხარ, საქართველოვ,
მოსავლელი ვინ გყავს.

რა გვჭირს შვილებს ფსევდონიმში გასაქცევი...
ვკეცავ ლექსებს და უჯრაში ვდებ;

ჩემი შიში შენი დიდი სირცხვილია,
მათქმევინე, დე!

სამშობლო ხარ! _ ამას აღარ ეშველება,
მაგრამ, თუ არ მოგვიკითხავ დიდხანს,
იმ დღისათვის მებრალები, საქართველოვ,
როცა მოგვიკითხავ…

2004. 4 აგვისტო

შაბიამანი

ყორანკლდემდე რა აიყვანდა...
თავიც მოეკლა და
იმსიშორეზეც ევლო?!
სოფელში კიდე,
საიდან გინდა, გადმოვარდე, -
ნეტა, რომელი მეთექვსმეტე სართულიდან...
თოფი, თოკი და შაბიამანი, -
კახელ თვითმკვლელთა არჩევანი.
...უფალო, რამე უსაშველე
თვითმკვლელების უგზოუკვლობას.
ერთ ლექსში რომ ნანიას ვამბობ,
ის ნანია დააქვრივა
ვანო პაპამ, – მეზობელმა.
„ვანომ რო თავი მაიწამლა შაბიამანით“, –
სულ ეს არის,
რაც მასზე მახსოვს;
სხვა დანარჩენი, – წარმოსახვაა,
და ხსოვნაში მერევა ხოლმე.
...უფალო, რამე უსაშველე
თვითმკვლელების უგზოუკვლობას...
დედაკაცი რომ თვალმოშორებით დაიგულა,
გამოიტანა მარნიდან მალვით (ალბათ),
და მიბრეცილ-მობრეცილი ჯამის ასწვრივ
გახსნა მუჭა (ალბათ),
მიაშვავა შაბიამანი – ცის ფხვნილივით.
მუხლზე აიგდო გრილი კოკურა (ალბათ),

დაჰკრა ჯამს წყალი (ალბათ),
ამოურია,
ამოურია წიფლის ნაფოტით,
ფხაკაფხუკით (ალბათ),
გახსნა ცის ფხვნილი, –
ამოიხედა თხევადმა ზეცამ
გლეხის ჯამიდან
ცისფერთვალა გოლიათის
ცალი თვალივით (ალბათ)...
...უფალო, რამე უსაშველე
თვითმკვლელების უგზოუკვლობას.
მთელი ცხოვრება
ვენახს წამლობდა შაბიამანით,
ადგა და, ერთხელ,
თავსაც უწამლა (ალბათ).
უფალო, რამე უსაშველე
თვითმკვლელების უგზოუკვლობას;
დახსენ,
დახსენ მწარე ხეტიალს,
და მანდაური ვენახის ბოლოს
ჩარგე ბალახბულახივით,
ან თიკანივით მიაბი სადმე,
მანდაური
საჩრდილობელი ატმის ძირში,
დაღლილი სული ვანო პაპასი, –
ულამაზესი საწამლავით
თავმოკლულისა.

2004. 8 აგვისტო

ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის

ვუძღვნი მშობლებს:
ვივა საიქოძეს და
ნიკოლოზ გოჩიაშვილს

ამბავი ვარდკაჭაჭას ყვავილებისა

გაზონში იმას ვინ მიუშვებს _ ვარდკაჭაჭაა!
გატკეპნილზე ამოსულიყო _ სარეველებთან.
თითქმის უფოთლო, გაბარჯღული,
ქარს ძნელად იმჩნევს,
ნიავს _ სულ ვერა.
აბა, რად უნდათ ამნაირი _
ვერმოშრიალე, ვერხასხასა.
მერე რა, რომ
ყვავილები აქვს, როგორც სული _
ღეროებიდან გამოხელილი.
ყვავილის სულიც,
ისევე, როგორც სულის ყვავილი,
ესთეტის თვალებს ვერ დაატკბობს,
დიზაინისთვის არ გამოდგება.
უცხო ფერი აქვს, უსახელო;

არადა, მახსოვს...
ფიქრით მივირბინ-მოვირბინე
ლურჯის ნაირსახეობანი:
ზეცა ბავშვობის
და ბავშვობისშემდგომი ზეცა,
ბინდი, რიჟრაჟი,
ზღვა და ზღვისფერი,
კაბები და კაბისფერები;
სიზმრის ფერადი ტომეულებიც ავაშრიალე...
არსად არ იყო.
ყველაზე ბოლოს იქ მივედი,
სადაც მუდამ ბოლოს მივდივარ,
საიდანაც უნდა დამეწყო.
ყველაზე ბოლოს შენთან მოვედი
და შენს თვალებში ვიპოვე, დედა!
სხვა არაფერი მახსენდება ამნაირი _
დაღლილი ცისფერი...
მიყვარხარ, ვარდკაჭაჭავ!
მებაღის ბრჭყალებს გადარჩენილი
და ქალაქში შემოპარული _
მიმეორებ და მიმეორებ დედაჩემის თვალებს,
მიყურებენ და მიყურებენ დედაჩემები.
. . . . . .
ესეც ამბავი ვარდკაჭაჭას ყვავილებისა,
ჩემო დედაო,
სულის ხერხემალს ჩაფრენილი, ჩახორცებული,

ოქროსევდის წყალში ნაფერი
ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის.

ამბავი აღმოჩენისა

გულგახეთქილმა მოვირბინე,
რომ მემცნო შენთვის,
ანუ მთელი სამყაროსათვის:
"დედა, ღრუბლები მოძრაობენ,
მოძრაობენ, თურმე, ღრუბლები,
მოძრაობენ ღრუბლები, იცი?!"
ვერ გაგაოცე.
"ჰო, ასეაო", _ მშვიდად მითხარი,
განმარტე კიდეც "ბავშვის ენაზე",
რასაც მაინც ვერ გავუგე
თავი და ბოლო;
ჯერ იმიტომ, რომ
გამარტივებასაც ზღვარი აქვს
და მე იმ ზღვარსაც ვერ ამოვწვდი;
და მეორეც, _
ჩემთვის იდუმალს, გასაოცარს
მე დღესაც კი ვერ ვიმეტებ განსამარტავად.
ჰო, ასეაო, _ რომ მითხარი,
რა გაიფიქრე?
გულმა რა თქვა?

გული იტყოდა:

,,საბრალო შვილო,

დაიწყო უკვე შენი ცხოვრება.

ჩანაყე წყალი,

გულმოდგინედ ჩანაყე წყალი

და კედელზე შესაყრელად

საუკეთესო ეძიე ცერცვი.

გულმოდგინების ხარისხით და

ცერცვის ხარისხით

ვიზომებით და განვსხვავდებით,

თორემ წყალი სად ინაყება,

ან კედელი ცერცვს სად იჩერებს!

შენ მართლაც პირველაღმომჩენი ხარ

და ყველა პირველაღმომჩენია.

ენა და გული ისეთს ვერ იტყვის,

ჰო, ასეაო _

მშვიდად რომ არ შემოგაგებონ".

. . . . . .

ესეც ამბავი აღმოჩენისა, ჩემო დედაო,

სულის ხერხემალს ჩაფრენილი, ჩახორცებული,

ოქროსევდის წყალში ნაფერი

ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის.

ამბავი ფრჩხილებისა

გვიყვარდა ბავშვებს

სიკვდილ-სიცოცხლის თამაშობანი.
გვიყვარდა ბავშვებს
მიწიანი თამაშობანი.
მიწა ხომ მუდამ
უშურველად გვეძლევა ხოლმე,
მიწა მუდამ საკმარისია,
მით უმეტეს,
სიკვდილ-სიცოცხლის თამაშებისთვის.
მკვდარ ჩიტებსაც რა გამოლევდა, _
ჩვენი სამყოფი ყოველთვის იყო.
სულ პირწმინდად ჩაიხოცნენ მაშინდელები,
სულ პირწმინდად დახუჭეს ფრთები.
გავხედავ ხოლმე, გამაკანკალებს _
გოჯს ვერ იპოვი,
თითო ჩიტი ყველგან მარხია.
ეს სიკვდილით თამაშისა...
სიცოცხლისას რას ვთამაშობდით?! _
ნასიკვდილარ მიწას გავცრიდით
(კენჭი და ჩონჩხი იყრებოდა),
მოვზელდით,
კვერებს ვაბრტყელებდით ხელისგულებში,
მზეზე ვაწყობდით _ მზე აცხობდა.
... მომქონდა სახლში
მიწიანი, სუფთა ხელები
და ღვთისმშობლის კალთაში ვყრიდი.
ღვთისმშობელი ფრჩხილებს მაჭრიდა

და ცვიოდა აქეთ-იქით
სანამცხვრე ტალახით გამოლესილი
ნაკლული მთვარეები.
და ჩემი იყო მაშინ ცათა სასუფეველი.
... ნეტავ იმ ხელებს,
შენი მაკრატლის ალესილ პირთან
ნდობით გასუსულს...
... ჯერ მარცხენა ხელი წაგართვი
(მარჯვენა ფრჩხილებს
ჯერაც ვერაფერს ვუხერხებდი),
მერე და მერე მარჯვენასაც მოვეპატრონე,
ამოვკრიფე შენი კალთიდან ხელები და
წამოვედი...
ჩემს სულსწრაფობას რას პასუხობდა
შენი ბრძენი გული, დედაო?
ხომ კრთებოდა? _
"ნუ გეჩქარება, ჩემო შვილო,
მალე წამერთვა.
დრო მოვა,
ფრჩხილებს თვითონ დაიჭრი ორივე ხელზე,
მაგრამ მაგ ხელებს
ასეთი ნდობით
ვერავისკენ ვეღარ გაიწვდი".
. . . . . .
ესეც ამბავი ფრჩხილებისა, ჩემო დედაო,
სულის ხერხემალს ჩაფრენილი, ჩახორცებული,

ოქროსევდის წყალში ნაფერი
ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის.

ამბავი შარავანდედისა

შენი შინიდან გასვლა იყო _
მოვიდოდა ლოდი, გულზე
თავის მძიმე ტორს დამადებდა.
დაბრუნდებოდი, _
წავიდოდნენ ლოდის ტორები.
თუ ყველაფერი წესით მოხდა,
ერთხელაც ხომ აღარ მომიხვალ...
მერე რა ვუყო ლოდის ტორებს _
გულზე შერჩენილთ.
თუ ყველაფერი წესით მოხდა,
თუ ჯერ შენ წახვალ,
ისე წადი,
ქვაბით სადილი არ დამიტოვო _
რომ ვეღარც შევჭამ, ვეღარც გადავღვრი.
ბალიშისპირსაც ნუ დატოვებ,
შენი თითებით გასპეტაკებულს _
ვეღარც ქვეშაგად გავიმეტებ,

ვეღარც ჩრჩილისთვის.
არ დამიტოვო, არაფერი არ დამიტოვო
შენი უხრწნელი სინათლის გარდა.
მომენატრები? _
ჩემს სამყოფს ყველგან,
ყველაფერში გიპოვი, დედა;
ყველაზე ღრმად და საიმედოდ
ჩემში შენი რძეა დაფლული,
დედის ხსენი _
ყველაზე ბოლოს ამოსანთხევი.
არ დამიტოვო, არაფერი არ დამიტოვო;
ვერც მე გპირდები იმაზე ძვირფასს,
რაც უკვე იყო.
ჩვენ საჩუქრები უკვე გავცვალეთ.
მშობიარეს ცალი ფეხი სამარეშიო...
მაგრამ ცალი რომ სამოთხეში?! _
ეს არაფერი?
ის სამოთხე ჩემგან არ იყო? _
ჩემი მიზეზით.
სასთუმალთან ღმერთი რომ გეჯდა,
ღმერთის ხელი რომ გედო შუბლზე _
სიმწრისა და სიხარულის
ცვარს გიმშრალებდა,
შარავანდედს რომ გიძერწავდა,
ძალიან ნაზად რომ უყვარდი _
ჩემგან არ იყო? _ ჩემი მიზეზით.

ეგ იყო და ეგ...

ველარაფრით გაგახარე;

ჩემი გაჩენით მოგაჩვენე სამოთხე და

ესეც, ხედავ? _ წამოგაძახე.

არ დამიტოვო, არაფერი არ დამიტოვო!

როცა მშობე, მაშინ მითხარი:

"აჰა სამყარო!

მაგრამ ეს ძღვენი

ხელიდან ხელში არ მიიღება.

შენია, მაგრამ საძებარია,

ნამცეცებად უნდა აგროვო.

აჰა სამყარო _ შენივე თავი".

არაფერი არ დამიტოვო;

შენგან ჩემი თავიც მეყოფა.

არაფერი არ დამიტოვო,

ისეც ვალშია შვილი მშობელთან _

ვითომ საჩუქრად ვეძლევით და

ამ საჩუქარს მუდამ აკლდება.

მათი ძღვენი კი არ თავდება,

არ ცოტავდება.

რაკი ითქმება _

"აჰა სამყარო _ შენივე თავი",

მერე ეძებე, მერე აგროვე;

რაც მეტს იპოვი,

უფრო მეტი გეპოვნინება.

. . . . . .

ესეც ამბავი შარავანდედის, ჩემო დედაო,
სულის ხერხემალს ჩაფრენილი, ჩახორცებული,
შარავანდედს რაღად უნდოდა,
მაგრამ ესეც
ოქროსევდის წყალში ნაფერი
ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის.
. . . . . .
. . . . . .
სამგზის შუბლნათელს
სამის წილი ზეცა გეყრდნობა;
თუ დაიღლები,
აყირავდება, ფერს შეიცვლის,
გასხვაცავდება
ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის.
სამგზის დედას
სამი ბავშვობა შემოგღნავის:
"აჰა ჩვენი ხელები, დედა! დაიბრუნე...
ცა შეგვინახე!"
შენც გენატრებით,
ცარიელი კალთა გიკვნესის,
ტირი უმწეოდ, ღვთისმშობელო,
ტირი უმწეოდ _
მშობლები ბავშვებს ვერ იბრუნებენ.
მხოლოდ ერთხელ,
მხოლოდ ბოლოსღა,
დახუჭული ფრთებით სავსე ბავშვობის ველზე

უკანასკნელად რომ ჩაიმუხლონ
და დედაჩიტის საფლავი გაჭრან,
მაგრამ უკვე _ არა თამაშით.
სამი ბავშვი ჩაიმუხლებს:
იქვე დაუვლით კრუნჩხვა,
იქვე იქნება დასასრული.
სამი ბავშვი ჩაიმუხლებს _
... სამი ქალი წამოდგება.
დარჩება დედაჩიტის საფლავზე
სამი ბარტყი _
სამი ბავშვობა _
სამგზის ნათელი.

2002. 19 აპრილი

სულაც არ ბნელა!

ბნელა, ძალიან ბნელა,
და არის ცხადზე ცხადი _
იჭრება დაფნის ტყეები
და უსაბუთოდ გადის.

ბნელა, პარნასზე ბნელა,
დგას ლაწალუწი ტოტების...
კონტრაბანდული დაფნით
თქვენ სადღა მოებღოტებით!

აქ უბნელობა არ გადის,
არც _ ჯიქურ მოფრენები;

ვაკეში ვაკელები ხართ,
პარნასზე _ სოფლელები.

არ გაჭენდება ჯაგლაგი,
ხმა ჩაიწმინდეთ ჯერეთ;
მაგ კინტაური ლექსებით
პარნასს ვერ აამტვერებთ!

ვაკეში არის "პარნასი" _
წიგნების მაღაზია;
პარნასზე _ ვაკე არ არის,
პარნასი _ მაღალზეა!

აქ ბევრი გაასილაქეს _
უბანში ნაფერები;
აქ სხვანაირი ჰავაა,
სხვაგვარი გაფრენები.

აქ სხვა წამალზე სხედან,
აქ სხვა კაიფი მოსულა;
აქ სხედან, სეფელექსებზე
ვინც ღმერთმა დააორსულა.

ჩვენი ამაყი დუმილით
როდემდე გახეიროთ;
ვაკეში _ კაი ბიჭი ხარ,

პარნასზე _ ვაკეირო...

იცით და _ ვითომ არ იცით
თქვენ ჩვენი სახელები;
იცით და _ ცდილობთ არცოდნას
ცოფით და გახელებით:
ვაკეში სოფლელები ვართ,
პარნასზე _ ვაკელები!

2004. 5 მარტი

ბრის!

ციკლიდან "კახურები"

ჯიშიანი ძაღლების ცხვირწინ,
საკუთარი კუდების წრეში,
სხედან და, _ ყეფვენ...
ბრის!!
უძაღლო ქვეყანაში მაინც იყეფეთ,
თქვე პატრონიანებო!

2004. 8 აგვისტო

"მონტეგებსა" და "კაპულეტებს" _ ყველა ღირსეულ პოეტს

რომ არა გძულვარ _ ცოტაა,
დღეს საჭიროა მეტი:
უნდა გიყვარდე, მონტეგ,
ლამაზი კაპულეტი!

რა შუაშია მოყვრობა, _
"ჩულჩუტი" ჯულიეტა;
ვინც სადმე კაპულეტია,
უნდა გიყვარდეს, მონტეგ!

თორემ ქაფქაფა რიოში
მოდის და მოყელყელაობს;
ვიღაც ჩამდგარა მღვრიეში, _
ამინდია და, _ ხელაობს.

შემოგვიშენებს ტიხარს
ათასი აბუეტი;
ხვდებიან _ მონტეგი ხარ!
მე კიდევ _ კაპულეტი!

უჩინო გვარებით და
უფულო საფულეთი _

შენ მაინც მონტეგი ხარ!
მე მაინც _ კაპულეტი!

ამოკემსილი თიხა
ნერვების კაპუეტით _
რას იზამ... მონტეგი ხარ!
მე კიდევ _ კაპულეტი!

უკვე მოგვბეზრდა ქვეტექსტის
წლების წიაღში დება;
ვიცი, შენ ხვდები ყველაფერს...
ყველა მონტეგი ხვდება.

რომ არა გძულვარ, _ ცოტაა,
დღეს საჭიროა მეტი:
ვინც სადმე კაპულეტია,
უნდა გიყვარდეს, მონტეგ!

ვიღაც ჩამდგარა მღვრიეში, _
ამინდია და, _ ხელაობს;
მოჰქუხს ჭუჭყი და რიოში,
მოჰქუხს და მოყელყელაობს.

სევდის უფსკრულში გდიხარ
სისხლიან ამულეტით...
დიახ! _ შენ _ მონტეგი ხარ!
დიახ! _ მე _ კაპულეტი!

2004. 7 მარტი

უამრავ N-ს

შენ რომ იბრალებ, იმაში

არ გაგიცვლიან ჩირს;
გასწი ეგ ბოღმა, შენს გაზრდას,
მე საკმარისად მჭირს.

"არა გჭირსაა?!" _ დამჭყივი,
ჩახმახს მოსინჯავ ნელიად;
მეტი რა უნდა მჭირდეს,
გული ისეთი ძნელია...

ეს ფუფუნება მაინც მაქვს,
ამსოფლიური, მწირს:
შენ რომ დგახარ და _ მიმიზნებ...
მე რომ ვდგავარ და _ მჭირს...

"არა გჭირსაა?!" _ ექოებს
გადააქვთ კიდით კიდე;
მიყვარს, შე მართლა რჯულძაღლო,
მეტი რა უნდა მჭირდეს!

"არა გჭირსაა?!" _ ხორცს იჭამ,
მურით ითხუპნი პირს;
ეგღა მაკლია, გადავრჩე!
საბედნიეროდ, _ მჭირს!..

2003. 30 ივლისი

რაც უფრო მიახლოვდება...

რაც უფრო მიახლოვდება
იმ დაწყევლილის ხელიდან
        აწივლებული ლაზო,

ვეძებ და, თვალებს გადაღმა
ერთი ნამცეციც არა ჩანს
        უცხო და უსურვებელი,
        უშნო და ულამაზო.

რაც უფრო მიახლოვდება
იმ დაწყევლილის მხრებიდან
        ჩამოთოვლილი გრილო,
ვეძებ და, გულის გადმოღმა
ერთიც არავინ არ მოჩანს
        უცხო და უსურვებელი,
        უშნო და საგულგრილო.

რაც უფრო ვუახლოვდები,
რაც უფრო ავად მოკლდება
იმ დაწყევლილის მაჯაზე
        გადახვეული თამასა,
ყველა და სუყველაფერი,
ყველა და სუყველაფერი
        ეგრე რამ დაგალამაზათ!

2004. 4 მარტი

ზალადა

ძახველი მედგა ისეთი,
ავ თვალს არ ენახვებოდა;
გამისხლტებოდა სტრიქონი,
ტოტებზე გაესკვნებოდა...

მომიჯნე მყავდა ბედად,

ისეთი _ უძახველო;
ბლომად ხეები ედგა,
სუყველა _ უსახელო.

ძახველი მედგა, _ მიყვარდა,
მიმინო არა მყავდა;
ბლომა ხეების პატრონი
ადგა და ამიშარდა.

რა ცული დაუქნევია,
რა მაგრა გაუქნევია,
რა ღამე გაუთნევია, _
ეს ჩემი "ჩემი ძახველი"
მიჯნაში დაუტნევია:

"ნუ მივბაძავთ ხარბებსო,
ხან შენ კრიფე, ხან _ მეო".

ეშმაკის თანამზრახველო,
ნუ იზამ საზიანოს;
ჩემია "ჩემი ძახველი",
რას ჰქვია, _ საზიარო!

"ნუ მივბაძავთ ხარბებსო,
ხან შენ კრიფე, ხან _ მეო".

... ამას რაც გინდა, უთხარი,
რაც გინდა, უძახეო;
ეს მართლა ხეებიანი!
ეს მართლა უძახველო!

ვაიმე, ჩემი ძახველი,
სხვა სივრცეების მნახველი;
ტოტებში გადახლართული
ღობის სარით და მავთულით...
ასე, _ მიჯნაზე დგომა
რა რთული არის, რა რთული.

დავღონდი... ღობე დავშალე
და მიჯნა გადმოვწიე;
დაშორდა ჩემი ძახველი,
ჩემი დარგული ძახველი,
ჩემს ბაღს და თვალსაწიერს;

ხედ მიემატა სხვა ხეებს,
აწ უკვე _ უსახელო;
ოოო! რას გაკრეფს და გამოკრეფს
მომიჯნე უნაღველო! _
ჩემი ძახველის მფლობელი
და მაინც _ უძახველო.

2004. მაისი

სანიშნობელი

რა გაშინებს, მასპინძელო!
შეგიყრია სოფელი;
ფშავში მაინც რა დამკარგავს...
მარად ჩემთან მყოფელი,
დგას ძახველი _
ფშავის სევდა _
ჩემი სანიშნობელი.

2003. 17 სექტემბერი

თქვენ თუ დამმალავები ხართ...

არაფერი გამოდგება
სიყვარულის წამალად;
კაცმა ჭირი რომ დამალოს,
ჭირი თავს არ დამალავს.

... სიყვარულსო...
... ვითა ცხენსო...
როგორ ბრძანეთ, ბატონო?!
... არ დამალა სიყვარულმა
თავი, ეს უპატრონო.

ზღვას დამალავ,
მთას დამალავ,

ვარსკვლავების ამალას...
რას იტყვი, რომ ვერ დამალო,
რასაც გინდა, დამალავ.

ისეთები დაუმალავთ,
ცხენი რა სათქმელია;
მაგრამ, თუკი მართლა გიყვარს,
წარ-მო-უდ-გე-ნე-ლი-ა!! _

სიყვარული რომ დამალო;
ბატონია, _ მონა ხარ!
აგატირებს,
აგამღერებს,
და გასაფრენს მონახავს.

ვერ დამალავ, გეუბნები;
ბატონია, _ მსახურებ!
გულიდან რომ კარს გამოხსნის,
ლექსში გაიჯახუნებს.

იმის მადლი არ გაგიწყრეთ,
არ მოტყუვდეთ არავინ, _
არ დამალოთ...
მაგ მშვენიერს
რა სჭირს დასამალავი!

ნუ შეაბამთ ფრთაზე ლოდებს,
ნუ ჩაუყრით სამანებს;
... თქვენ თუ დამმალავები ხართ,
უგულობა დამალეთ!

2003. 18 სექტემბერი

სევდიანი ტექსტი-ხუმრობა თანაავტორებთან ერთად

(ლიტერატურის მკვლევართა ერთი მოსაზრების გამო)

"ო, დროებავ,
ო,ზნე-ჩვეულებანო!"

ო, ცვალებადო ტემპორა,
ო, ცვალებადო მორეს...
მე ლექსებს ვწერდი, მეგონა,
ეს რაღა მოიგონეს!

ისევ შორიდან უბერავს
და ახალ აზრებს მოდენის;
ციტატებს აკანტურებენ
ლიტერატურისმცოდნენი.

ჩვენ ლექსებს ვწერდით, გვეგონა,
და გული მწყდება, რა ვიცი...
ეს მორესი და ტემპორა

ყველაფერს წყვეტენ თავისით.

დრომ შეუკვეთა, _ ვინ ჰკითხავს
ლიტერატურისმცოდნეს;
როგორც ტემპორა ინებებს...
როგორც ინებებს მორეს...
თურმე, ლექსები კი არა
(აქ მეფეს დავესესხები),
ჯერ ტექსტი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ტექსტები.

თურმე, ფშაველი მოტექსტე
თავის ჭირ-ვარამს გატექსტავს:
"ტექსტო, ამოგთქომ, ოხერო"...
და ჩაშვავდება ფლატესა...

... ერთ ლამაზ ქალზე
მარტო ერთი ტექსტი დარჩება;
განა გავხდებით პოეტები
ტექსტის ჩარჩებად?..

"ტექსტი მეწყერი"! (კონფერანსიე)
... მე არ ვწერ ტექსტებს,
ტექსტი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ტექსტს თან ახლავს...
არა, ბატონო! _ მე არ ვწერ ტექსტებს,

მე არ ვწერ ტექსტებს, _ არ ვარ თანახმა!!

საქართველოს ტექსტის მეხანძარენი
მორცხვად დგანან სცენაზე:
_ რა დროს ჩემი ტექსტებია,
ლექსი მადგას ენაზე...

... ვიღაცას საქმედ ეთვლება
ტერმინები და მარკები;
შენ ვინ რა უნდა დაგაკლოს! _
ისეთი ჩვენი ბრძანდები,
ყოველ მეორე სიტყვაზე
ბაგეზე აგვიყვავდები...
ტექსტ... (ენა გადამიბრუნდა)
ლექსო, არ დაიკარგები!

2003. 21 სექტემბერი

ნეტავ ვისთვის...

ორი ვარცლი ლიცლიცებს,
ორი ვარცლი უფსკერო:
ერთი _ გოლეულისა,
        ერთიც _ ცეცხლის ვარცლი;
ვდგავართ გამჭვირვალენი...
ფიქრობს ჩვენში უფალი,
სულსაც თვალწინ გაიფენს,
        ხორცსაც შემოგვაცლის,
რიტუალთა ფასადებს
შემოგვამსხვრევს გულგრილად,
ყოველ ცრემლში ჩაგვხედავს,
        ყოველ ღიმილს გაცრის;

ყოველ სიტყვას თავდაღმა
ჩაჰკიდებს და ჩაჰყვება, _
ფსკერზე უნდა იხილოს,
        უნდა ჩაიჭვრიტოს:
სახმო იოგებამდე
რა ჯვალოთიც იარა,
იმავეთი გვეჩვენა? _
        ისე ითქვა ვითომ?!
და ღვთაებრივ კბილებშიც
ეჭვით გაიწკრიალებს:

მართებს ეჭვის გაფანტვა
        კეთილშობილ ლითონს!

მადლსაც უნდოდ გადახსნის,
როგორც ატლას ბროწეულს,
გარეთ _ გასაგებია,
        შიგნით რაა _ ნახოს...
ქველი საქმის წიაღშიც,
ვით ათასი მარცვალი,
ათასფერი მიზეზი
        და მიზანი სახლობს;
... ვერცა მხოლოდ საქმითა
მოიზომოს ვერავინ
გოლეულის ჭალებში
        სულის სამოსახლო.

ატლასები ქარს მიაქვს...
ვდგავართ გამხელილები
მარცვალ-მარცვალ-მარცვალ,
        შიგნიდან და ახლოით...
ნეტავ ვისთვის მუშაკობს
ბედნიერი უფალი,
ნეტავ ვისთვის მარგლავს
        სულთა სამოსახლოებს
გოლეულის ჭალაში.

2003. 14 სექტემბერი

ორეულის გარეშე

ნუგზარს

მთვარე დასვა ალჩუზე
და მოგებულ სივრცეებს

ბნელ მუჭაში მოიქცევს
ღამე _ ყომარბაზი;
შიშის გრილი მედუზა
ძვლებზე ამომაცოცდა
და ჩემს მიუსაფრობას
შემკრთალ მხარზე აზის.
ერთი ლექსიც დამცალდეს! _
უმრწემესი ძმისათვის
გული მისართმევი მაქვს
სტრიქონების ბაზმით.

... დადრეკილა ტაძრებში
რიგი აღმსარებელთა,
თითქოს ასე მარტივად...
თითქოს ასე, _ დღესვე...
შენ კი ისიც არ იცი,
რა მორწმუნე კაცი ხარ,
გიკაშკაშებს უღელი
სათნოების მთესველს;
სადაც სიყვარულია,
ყველგან ეკლესიაა;
სადაც შენ ხარ, ტაძარიც
იქვე ჩაყრის ფესვებს.

... დადრეკილა ტაძრებში
რიგი აღმსარებელთა, _

რა მრავალი წვეული
        მრავლად ფარისევლობს;
შენ კი მხოლოდ ის იცი,
ყოფნის ორომტრიალში
სულ თან გახლდეს მოძღვარი,
        სიყვარულის მრევლო!
გზას _ გულიდან სიტყვამდე
და სიტყვიდან საქმემდე
ორეულის გარეშე
        ადგახარ და, გევლოს!..

შენი ძმობის იმედით
ვებრძვი შიშის მედუზას,
ჩემი მიუსაფრობით
        თავგასულს და გართულს;
იჯდეს მთვარე ალჩუზე, _
სულაც არ მეშინია! _
ისევ შეანაცვლებენ
        საპირეს და სარჩულს;
გამოგვიშვებს მუჭიდან
ღამე ფერგადასული,
გათენდება, _ წაგვაგებს, _
        მზე დაჯდება ალჩუს!

2003. 16 სექტემბერი

მე დედას ველოდებოდი

(ყოფილი საბავშვობაღელის მოგონება)

ბურთიც ფეხებზე მკიდია,
დათვიც და ენოტებიც;
მე არაფერი არ მინდა,
მე _ დედას ველოდები!

მასწავლებელი _ მქუხარე,

გამოცხადება უფლის:
_ ვინ გააფუჭა ჰაერი!!
_ ვინ დაგვიწუნა სუფი!!

სუფიც ფეხებზე მკიდია,
დათვიც და ენოტებიც;
მე არაფერი არ მინდა,
მე _ დედას ველოდები!

რამსიგრძე დღეები იყო...
ახლა ისეთი სად არი...
_ აბა, მარჯვენა ლოყა!!
_ აბა, მარცხენა სანდალი!!

მარცხენაც ფეხზე მკიდია,
დათვიც და ენოტებიც;
მე არაფერი არ მინდა,
მე _ დედას ველოდები!

და ერთადერთი ნუგეში,
შვების მომგვრელი ნოტა, _
პირმოკუმული კისელი,
იისფერი და ცოტა;

კისელიც ფეხზე მკიდია,
გამგეც და ენოტებიც,

და შურა დამლაგებელიც...
მე _ დედას ველოდები!

ვსკუპივართ ღამის ქოთნებზე,
შუადღის კუკებს ვცდილობთ;
ჰყვება ერთ-ერთი მექოთნე
ვითომდა, _ სასაცილოს.

კუკებიც ფეხზე მკიდია,
დათვიც და ენოტებიც;
მე არაფერი არ მინდა,
მე _ დედას ველოდები.

ან დედას აღარ ვუნდივარ,
ან _ დრო დააბეს სადმე;
ასეც და ისეც, ცხადია,
სატირლად არის საქმე.

ტირილიც ფეხზე მკიდია,
დათვიც და ენოტებიც;
ვბზუი სასხვათაშორისოდ,
თან _ დედას ველოდები.

თვით ლენა მასწავლებელიც!
დათვიც და ენოტებიც, _
სუყველა ფეხზე მკიდია!!

მე დედას ველოდები...

2004. 23 აგვისტო

ფერიცვალება. ვაჩნაძიანი

მოადგებიან
სასაფლაოს ჟანგიან ჭიშკარს
მოწიაქე თქვენი სულები,
გამოსცქერიან აქეთ სოფელს, _
ფერიცვალების კვეთით აჭრილს.
რაც არ უნდა
წინა დღეებში ჩამოვიდეთ,
რაც არ უნდა ადრე,
სიგრილით შემოვუყვეთ
სოფლის თავისკენ,
სასაფლაოს შუაგამყოფი გზიდან მარცხნივ
რაც არ უნდა აჩქარებით

შევრიოთ ფეხი ჩალაბულას,
ვიღაც მაინც მოგვასწრებს ხოლმე
შენს საფლავზე, მამაჩემო...
ვიღაც _ სოფელი.
შორიდანვე შემოგვცინებს,
შემოგვჭახჭახებს
ბარაქიანად ამოჭრილი
საზამთროს ტუჩი,
მერე ტყუპი პანტაც დაჩნდება,
გაჭყლეტილი კარამელიც,
და შეუმშრალი ნაკვალევი შესანდობარის, _
ცრემლებივით წაგრძელებული,
თითქოს გოლიათს უტირიაო.
... კიდევაც რომ არ მოხერხდეს
ჩვენი ჩამოსვლა,
მჯერა, _ შენს საფლავს,
აგვისტოს მზით გადასერილს,
სხვას თუ ვერაფერს,
ადრეულა ყურძნის
ერთ თვალშესულ კუფხალს მაინც
გამოაბამს გულზე სოფელი,
ჩამოგღიღინებს:
_ ფერიცვალებაა, ბიჭოო…

2004. 19 ივლისი

უნდა შეძლო!

ეს რა უბედური მყავხარ! _
რანაირი სვე-ბედის:
არც ძილი გაქვს, არც ღვიძილი, _
დაუფინანსებელი.

ვაი, ეგეთ გაღვიძებას! _
სათრეველად, აუგად,
უბოდიშოდ დაგაფეთეს,
როცა თვითონ აუდგათ

გვერდები... და ისტორიის
მაგ დარდიან დღიურებს
მიაწერე, როგორც რისხვა:
გამაუპატიურეს!!!

შეგვინახე შენი მაჯა,

შენი შუბლი ღვთიური...
უნდა შეძლო გაღვიძება _
ფიზიოლოგიური!

2004. თებერვალი

ნეტავ არ გაგღვიძებოდა...

ნეტავ არ გაგღვიძებოდა,
ისევ ძილქუში გდებოდა,
ჩემო ნიბლია სამშობლოვ...
შენ რომ წაგიღო ალალმა, –
მტრისას! და მტერსაც აშოროს.

2004. თებერვალი

ვაი, სიმარტოვენო...

"ჩვენს სულს ვისი ნათელი
მზერა დაეფინება?
ვისი ხელი გადაშლის?
ვისი? ვისი? ვისი?"
გივი გეგეჭკორი

დღეს დალევას ვაპირებ;
მიხრიალებს ონკანქვეშ
ბოსტნეულის ნარეცხის
შუამდინარეთი;
ცოტას ვდიასახლისობ,
ღაპაღუპით მატირებს,
ოღონდ, _ არაგულწრფელად,
ხახვის მინარეთი.

... მომერია სასმელი,
მაინც ვერ მოვერიე,
რასაც ვეღარ ვერევი,
და სიმინანქრეთი
ვეღარ ამკობს ჭურჭელი,

და გულს ირევს თეფშიდან
უკვე მოყირჭებული
ჭრელი ვინეგრეტი.

ახლა რა გავაკეთო...
იქნებ, ვნახო თაროზე
მართკუთხედი სიბრიყვე, _
წიგნად მონაჭორი;
მაგრამ ურჩი თითები
თეთრი წიგნის ყუაზე
მწევრებივით სხდებიან:
გივი გეგეჭკორი.

ახლა, _ როცა გავრბივარ,
როცა თავს ვისულელებ,
და მართკუთხა სიბრიყვე
შვებასავით მელის, _
რა დროს გეგეჭკორია!
გინდათ, ელდამ გადამხსნას?!
და გამისკდეს ჭახანით
გულის ორთომელი.

ვდგავარ სავსე თაროსთან,
თითი მეძებარივით
დასუნსულებს წიგნებზე,
ეჭვობს, ეძებს, კრთება;

გადაურბენს, როგორც ცეცხლს,
მაგრამ მერე დარცხვენით
თეთრი წიგნის ყუაზე
ბრუნდება და ჯდება.

... მე ვარ, გივი ბატონო,
ვინც თქვენს წიგნებს გადაშლის,
და ვინც, უკვე გარდაცვლილს,
ჩუმად გიერთგულებს;
ვინც უკვე მიმხვდარია
ლხინის ამაოებას,
და, ლხინს გარიდებული,
თქვენს ციმციმა სულებს

ეფარება ნერგივით,
სანამ ამაოების
ქარი ფესვებს შეუჭამს,
დასცემს, გამოფიტავს.
ვაი, სიმარტოვენო...
ვაი, სერდოლიკებო...
ვაი, სერაფიტა...

2004. 25 აგვისტო

სტრასბურგის მთვარე

ომარ თურმანაულს

დედა ქალი
თავის დროზე გაიშრობს ძუძუს;
დედა სამშობლო _
მარადიული მეძუძურია.
ამან კი _ ჩვენმა,
ბოლო წვეთებიც გაიბრუნა,
გაიკრა მკერდი სისხლიანი,
ჩამოგვფერთხა მერე კალთიდან,
წამოკრიფა, ვინც ხელში მოხვდა,
და შიშისაგან დაგორგლილი
ჩემი და-ძმები
კნუტებივით ესროლა წყვდიადს.
ვის აგდებ, ვისა!! _
უნიათოდ გამოგესარჩლეთ,
თან
მრავალძარღვა მოვსრისეთ ხელში.
... ჩვენ ერთი მთვარე
აღარა გვაქვს, თურმანაულო.
მაშ, რად არ მოგაქვს

ნარის ყვავილი,
რად არ მიტოვებ კარში ნიშნად,
რომ მოგენატრე
და მოხვედი
და აკაკუნე
და მოგქონდა ნარის ყვავილი
და შინ არ ვიყავ...
ჩვენ ერთი მთვარე აღარა გვაქვს.
მაშ, რად არ ვდგავართ
იმის ქვეშ ერთად,
რად არ ძალუძს, წამოგვეპაროს,
მტკვარში ჩამბალი შუქის თათით
გვიბიძგოს ნაზად,
და ვორონცოვის ხიდზე მიმავლებს
წყვილი ჩრდილი წაგვაყრევინოს...
ჩემი ჩრდილის მეგობარი ჩრდილი
რა იქნა?
... სტრასბურგის მთვარევ,
რა მაგისი მთვარე შენა ხარ! _
შენს ქვეშე მავალს
ერთი ლექსიც ვერ დააცდენინე.
სტრასბურგის მთვარევ,
შენ მაგ კაცის მთვარე არა ხარ!
ფშავის სოფლიდან თბილისისაკენ,
თბილისიდან ფშავის სოფლისკენ,
ნარის ეკალზე იკაწრავს კანჭებს

მაგისი მთვარე. _

რა ხანია, რაც

აღარ უნახავს.

2004. 9 აგვისტო

პარასკევი ჩემი დღეა

სიზმრის კარებს მიეყრდნობა

ბინდის ტვირთით მხრებზე.
"პარასკევი შენი დღეა,
დაიმახსოვრებდე!" _
მეუბნება.
ვერას ვხვდები.
არ წახვიდე! _ ვნატრობ.
რატომ, სიზმრის მამაჩემო,
პარასკევი _ რატომ?
სიზმრის კარებს მოაცილა
მხარი სიზმრისავე:
"პარასკევი შენი დღეა"…
და შეუყვა შავეთს _
გზას თავისი შინისაკენ
და დამტოვა მარტო.
რატომ, ჩემო მკვდარო მამავ,
პარასკევი _ რატომ?
იქნებ ჯვარი შემახსენე,
ჯვარედინა ჯვარი,
ოთხშაბათით ფესვგამძღარი,
ოთხშაბათზე მდგარი,
ჩემი წილი,
მკლავწითელი,
ჯვარი ჯვარედინა,
გაძლების და ძლივს გაძლების,
ვერგაძლების ბინა.
მჭამს თაკარა პარასკევი...

პარასკევის პატრონს,
არ იქნება, არ წამოსცდეს:
რატომ, მამავ, რატომ?
და მიმათრევს ჩემი ჯვარი
და გლოვისას მღერენ...
ნუთუ მხოლოდ პარასკევი
და არც რაი მერე!
ვინ გვიმალავს ჩვენი წილი
მესამე დღის ჩეროს?
რატომ მხოლოდ პარასკევი,
სიზმრის მამაჩემო!
ამ ტკივილსაც თუ გავცდები,
ამ დამარხულ ფერებს,
გამახსენე! _
ოთხშაბათი...
პარასკევი...
მერე?
... ცისკენ ვახელ გამხმარ თვალებს,
ჯვარსა ზედა მზირალს:
კენწეროზე ჩიტი ბარტყობს _
მწყალობელი კვირა.

2002. 20 ოქტომბერი

ნუგეში

ლეღვის ხისადმი

შენთან მაქვავებს შენზე დარდი
და იგავის მღვიმეებში
        აღარ მახედებს.

. . . . . .

რა მდედრობითი ვარჯით დგახარ,
ფოთოლიც რა მდედრობითი გამოგიღია;
შენს მოღვენთილ, მდედრულ ტოტებზე
მყისვე ნაყოფი იგულისხმება.
... უპირველესად შენ მენანები,
მერეღა _ მგზავრი,
მშიერი და გაწბილებული.
ნაჯახისაკენ ნუ იწვდი სხეულს!
ისეთი ვინმეც ხომ ჩამოივლის _
ნაყოფის არმაძიებელი,
ჩრდილის მძებნელი,
შრიალის მძებნელი,
ხაოს მძებნელი,
რბილი ხაზების მძებნელი...
მოვა შენთან,
მოვა,
გეტყვის:
"უნაყოფო ხეო, მჭირდები!
უნაყოფო ხეო, მიყვარხარ!"
დაიჯერე!
დაიჯერე!
დაიჯერე! _
არავინ და არაფერი არ ჩნდება ქვეყნად
ერთადერთი და პირდაპირი
 დანიშნულებით.

1996. 13 ნოემბერი

მწვანე იასპის ბეჭედი

იზოლდა _ ტრისტანს:

"თუ მოგენატრო, შუამავლის ხელით

ეს ბეჭედი გამომიგზავნე და მანიშნე.

ვერავინ და ვერაფერი შემაჩერებს".

მწვანე იასპის ბეჭედი...

მწვანე იასპის მთები...

უფლის მოწვდილი თასიდან

უფლის კარნახით ვთვრები.
მე არაფერი მეშლება,
ამ თასში რაც დუღს, ვხვდები.

მე არაფერი მეშლება,
ამ თასში რაც დუღს, ვხედავ:
ტრფობის თილისმა თუხთუხებს,
სიკვდილის ქაფით ზედა;
რა ბედნიერი გიჟი ვარ _
სიყვარულსაც და სიკვდილსაც
ბოლო წვეთამდე ვბედავ.

წყალნი წავლენ და წაგივლენ,
არსად წამსვლელი ქვიშა _
დედოფალივით წავიძრობ
მწვანე იასპის ნიშანს.
ლოდინის მეტი რა ვიცი...
გზაზე დაყრილი თვალებით
მე _ არაფერი მიშავს.

მწვანე იასპის ბეჭედი...
მწვანე იასპის მთები...
უფლის მოწვდილი თასია,
უფლის თასიდან ვთვრები.
მე არაფერი მეშლება _
ვიცი, ერთხელღა მოვკვდები,

მაინც ჯიუტად ვკვდები.

ბოლო სიცოცხლეს ვემსხვრევი,
ბოლო დღესა და ღამეს,
არც ვემალები, არც ვითვლი
თითებზე დამსხდარ წამებს,
არც წინ-წინ ვითადარიგებ
წყლულში დასაფევ ბრძამებს;
შენიდან გულს არ მოვიცვლი,
მოგესურვები? _ ბრძანე!
. . . . . .
აჰა იასპის ბეჭედი! _
შენი მთებივით მწვანე.

2001. 22 ნოემბერი

არარსებული ძახველისადმი

გზა მიდიოდა ფრთხილად და აღმა,
ჩარგლისკარამდე ვათრიე შიში,
ჩარგლისკარამდე ვათრიე დაღლა
და ჩარგლისკართან შევდექი მშვიდი,

მაგრამ სიმშვიდემ დამკარგა... დამღა
გულზე და გულის თანამზრახველი
არ მავიწყებდა, რატომ ვარ ახლა
ამ მთებში... მთების გადამლახველი

ვისთვის ვჩქარობდი, ვის სიახლოვეს
უნდა ვეფერო ისევ შორიდან;
რომ აქ ძახველის გამო მოვედი,
რომ აქ ძახველის გამო მოვდივარ.

აქ ერთიანად მიყვარს ყოველი,
მოვედი, მთებო! უცხო როდი ვარ,
მაგრამ ძახველის გამო მოვედი,
მე აქ ძახველის გამო მოვდივარ.

შაშვებიანი თოვლის ნაღველი,
ტანზე შემხმარი ცით და ქარითა,
ზამთრისთვის სისხლის შემომნახველი
იქნებ დავლანდო ჩარგლისკარიდან

ჩემი ძახველი...
იქნებ ვიხილო...
(ყველა მოლოდინს ღმერთი ფარავდეს)...
და ოქროს შიბით გასხლული გული
ცახცახით ამაქვს ჩარგლისკარამდე.
. . . . . .
გაღმა სოფელში ერთი ძახველი მიყვარდა,
მიყვარდა, თუმცა თვალით არ ვიყავ მნახველი...
არ არსებულა გაღმა სოფელი თურმე,
არ არსებულა გაღმასოფლელი ძახველი,
არ არსებულა, მე რომ ძახველი მიყვარდა.

2002. 10 სექტემბერი

როგორ შემკრთალხარ

მოგიტანია ის ძველი სიტყვა
და სინანულით მძიმე ბეჭები.
მოდი, ღიაა...
და მეც შინა ვარ _
არარსებულზე ლექსის მბეჭველი.

რას ვიფიქრებდი, ბეჩავი ლექსი
ერთ ხეს გრიგალად გადაუვლიდა...
როგორ შემკრთალხარ, მარად ძვირფასო,
სად წამსვლელი ვარ ჩემი გულიდან.

მოდი, შინა ვარ _
დარდის გორგლიდან
არარსებულზე ლექსის მბეჭველი.
სად წავიდოდი,
ან სადღა წავალ _
გაცემულია მწვანე ბეჭედი.

2002. 25 ოქტომბერი

სად შემოგესმა ჩემი სიჩუმე?

სად შეგეშინდა უჩემობის,
მერე იმ შიშის სად შეგეშინდა?
ორივე შიში რომ გაგეტოპა,
სად დააწივლე რისხვით მათრახი,
სად დასჭყივლე ბედის ბედაურს?
სად დაგამარცხა ორივე შიშმა _
გამარჯვებულს
სად დაგეწია ჩემი სიჩუმე,
რომელი გზიდან შემოგაბრუნა?
მიყვარხარ-მეთქი,
სული მოითქვი...
ვისი იმედით აღარ მიყვარდე,
ვის შეგატოვო _
სულის პეპელას?
ვაითუ, არცვინ იყოს შენი _
არც მოკეთე, არც მოყვარული...
ვის შეგატოვო...
ძველისძველია შენი შიმშილი,

ვერ მოიყირჭე სიყვარული;
ერთ მისხალზეც დახარბებულო,
უზმო გული შორიდან მოგაქვს.
მიყვარხარ-მეთქი,
სული მოითქვი...
მარადისობის ქარებისგან გამშრალ გავაზე
დაუნანებლად დაჰკარ ხელი
ბედის ბედაურს,
"ჰაიდა" უთხარ,
მიუშვი ხომლის საძოვრებზე,
წამოდი და
სთვლისპირებისკენ აიღე გეზი.
არ დამკარგვიხარ, _
მე მხოლოდ თვალი მოვაცილე სიცარიელეს,
სადაც იდექი.
იქ მყავხარ,
სადაც არ არსებობ,
იქ გიფარავ შენი თავისგან.
არ დამკარგვიხარ.
ნუ მიყურებ
დაკარგული ბავშვის თვალებით,
თვალით მძებნელს
ვერ დაგინახავ.
გული მიატარ-მოატარე
სთვლისპირების დამზრალ სტრიქონებს, _
გესმის? _ რა ლექსებს მაყეფებს ისევ...

მიყვარხარ-მეთქი,
სული მოითქვი.
უხმოდ ჩამოწყდა
ჩემი გულის მონეტა მაშინ,
უხმოდ დაეცა;
არცრა წკრიალი,
არცრა ჩქამი,
არცრა ძახილი _
მხოლოდ სიჩუმე გამოიღო.
სად შემოგესმა ჩემი სიჩუმე?
ასე შორს ტირის ექო სიჩუმის?
წკრიალზე უფრო?
ჩქამზე უფრო?
ძახილზე უფრო?..
სად შეგეშინდა უჩემობის? _
სად დასჭყივლე ბედის ბედაურს,
სად დააწივლე ელდის მათრახი,
სად მოსწიე სადავე რისხვით,
ყალყზე შემდგარი ლაშების ჭიხვინს
სად აფრქვევინე სისხლის ქაფები, _
სად უბრძანე პირაქეთობა?
... სად შეგეშინდა სიღატაკის, _
ერთი გულის წამოსაკრეფად
რომელი გზიდან გამობრუნდი?..

2002. 10 ნოემბერი

ქათქათა, გასაფრთხილებელი

გიზგიზა ცეცხლს შეექცეოდნენ.
ნაპერწკალი დააფრინდა
ქათქათა სუფრას _ გასაფრთხილებელს.
სხვა ვერაფერი მოახერხა ელდაცემულმა _
ხელი გაჰკრა.
ნაპერწკალმა ხომ მოასწრო და
დაწვა და დაწვა,
ხელმა კიდევ უარესი ქნა _
მურის ლაქაც დაუსართა
იმ ქათქათას _ გასაფრთხილებელს.
უცნაურია _
ნამცეცა ნამწვი, ძლივსშესამჩნევი,
რამხელა კუდს მოიქნევს ხოლმე,
თუ დაეხები.
მერე ამ ლაქამ დასცა ზარი _
ამოვშლიო! _
უფრო დაატყო,
კიდე-განი გაუფართოვა,
დაამკვეთრა
იმ ქათქათას _ გასაფრთხილებელს.
... ნეტავ არაფრის გადარჩენას არა ცდილიყო,
ბევრი-ბევრი _ სული შეებერა,

ერთხელ და ფრთხილად.

ნეტავ არაფრის გადარჩენას არა ცდილიყო,

თითები თუნდაც ერთმანეთზე გადაემტვრია!

... სუფთად მაინც ამომწვარიყო

ის ქათქათა, გასაფრთხილებელი...

2002. 27 სექტემბერი

თუ მართლა გიყვარდა, დამარხე!

დამარხე მკვდარი,

ჩქარა, ჩქარა დამარხე მკვდარი.

სანამ ჯერ კიდევ იმას ჩამოჰგავს,

ვინც იყო

და ვინც შენ გიყვარდა.

ეგ მსგავსება ნუ შეგაცდენს,

ნუ დაგაყოვნებს,

გონს მოეგე

და წარსულის სუფთა მიწაში

უძვირფასესი დამარხე მკვდარი.

და რაც უფრო ძლიერ გიყვარდა,

უფრო მეტი გულმოდგინებით უნდა დამარხო.

ჩქარა დამარხე!

სანამ სურნელი, სიცოცხლიდან გადმოყოლილი,

შლეიფივით აიკრიფება და განქარდება,

სანამ მაძღარი მატლი დასცვივა,

უძვირფასესი დამარხე მკვდარი.

აი, ნიჩაბი!

აი, კუბო!

აი, ლურსმანი!

აი, და დამარხე!

საბანივით შემოუკეცე,

ჩაათბუნე, ჩაამუდმივე წარსულში და

ნუღარ ამოთხრი.

თუ მართლა გიყვარდა, დამარხე.

თუ მართლა გიყვარდა, ნუღარ ამოთხრი.
სიყვარულის შემძლევ!
სიყვარულის ნიჭზე მცირე ნუ გეგონება
უძვირფასესი მკვდრის დამარხვის
ნიჭი და ხელოვნება.

2002. 6 ოქტომბერი

როგორც იცვლება მთვარე მარადჟამს

წყვილი ჭიქა და
წყვილი თეფში და

სუყველაფერი ასე _ ორ-ორი;
გაიშლებოდა მტკაველა სუფრა,
ჩამოჯდებოდა ორი ოლოლი...
. . . . . .
ერთიმეორის მარტოსულობას
კენკავდნენ მფრთხალად,
ბინდში სამხრობის,
და ისხდნენ ასე _ გაღმა-გამოღმა,
თავთავიანთი მიუსაფრობით.
გადასძახოდნენ ერთმანეთს ისე
უხმოდ ნატირლებს უხმო ბაგიდან,
თითქოს წინ ვრცელი სათიბი ედოთ,
ერთი მტკაველი სუფრის მაგივრად.
. . . . . .
მერე აუქშევს ვიღაცა მაღლით...
ჯადოახსნილი და ნათელქმნილი:
კვლავ მოიქცევა სათიბი სუფრად,
ჩამობრწყინდება სუფრასთან წყვილი...
. . . . . .
მაგრამ ჰქცეოდათ ობლობა ჩვევად,
ობლობას შერჩნენ ერთგულ შვილებად,
და დედის ზნეზე მიხორცებული
ფრთების ბოლომდე ამოშხივლება
ეუცხოვებათ...
ღელავს სათიბი...
გაღმა-გამოღმით ჩადგამენ კარავს:

თან _ მარტოობის კარგი შვილები,
თან _ ერთმანეთის მპოვნელნი მარად.
... ოლოლის ცრემლი ეცემა ტილოს,
აშორიშორებს ჭურჭელს ოლოლი:
თითო _ ოლოლს, და
თითო _ კარადას;
რა საჭიროა უკვე ორ-ორი.
ერთი ჭიქა და
ერთი თეფში და
სუყველაფერი, ასევე, კენტად, _
საკმარისია...
კანკალებს ხელი
და შემძიმებულ კარადას კეტავს.
. . . . . .
გამოიცვლება ის სველი მთვარეც,
როგორც იცვლება მთვარე მარადჟამს;
ხელი _ მშვიდი და მონაფერები,
ისევ გააღებს მძიმე კარადას...
წყვილი ჭიქა და
წყვილი თეფში და
სუყველაფერი ისევ _ ორ-ორი;
და ობლობიდან საერთმანეთოდ
გამოპარული ორი ოლოლი.

2002. 29 ოქტომბერი

სანამ შუაკაცებს აგზავნი

თუ მართლა ისეა, როგორც ფიქრობ,
შენ კი ფიქრობ,
რომ ფესვებიანად ამოიბუგე,
არსად დარჩა წვეთი,
არსად დარჩა ნაპერწკალი
და ვეღარც ამოიყრი,
და ვეღარც აგიზგიზდები;

მაშ, საიდანღა იფეთქებს ხოლმე

ნედლი სურვილი _

წამოდგე და მაგნიტოფონს ხმა აუწიო,

რომ გავიდნენ შენი სახლიდან

ლურჯი ვივალდი

ან

ნერვი _ პატრიცია,

გავიდნენ, როგორც შუაკაცები;

როგორც საერთო ტრაპეზი,

რომელსაც შენთან ერთად

სხვისი სულიც წამოკენკავს,

როგორც საერთო კოცონი,

რომელსაც შენთან ერთად

სხვისი სულიც მიაპყრობს თითებს...

არა ხარ მკვდარი,

ჯერ ბოლომდე არა ხარ მკვდარი,

სანამ სიკვდილი გეუცხოება,

სანამ საფლავიდან შუაკაცებს აგზავნი,

სანამ ჯერ კიდევ გიჩნდება სურვილი _

წამით მაინც

შენი ყოფნა

ვინმეს შეახო.

1996. 7 ნოემბერი

დავით მჭედლურს _ პოეტს

მორჩა ეს ერთიც... ვინ მეტყვის, კიდევ
რამდენი უნდა იყოს და მორჩეს".
ერთი ჩინოვნიკის დღიურიდან

როგორ იმგზავრე, ოთხივე მხარის მგზავრო,
შეასხალ გული სისხლში ჩამტვრეულ არაგვს?
აღავღავებულ მემკვიდრეობით სიზმრებს
დაუწექი და დაეგლეჯინე, არა?

მორჩა ეს ერთიც... მაგრამ როდემდე ვწოვოთ
ფუტურო ძუძუ წარუვალობის მოლოდინს;
მორჩა ეს ერთიც _ წარმავალობის ჭანგით

გადაჩხაპნილი და ვერწაშლილი ბოლომდის.

მიძრწის ცხოვრება,
ურჩი გერების სისხლზე
დაგეშილი აქვს ღრენაგამჯდარი ლაში;
იქნებ ოდესმე ფეხმა კიდევაც მოსინჯოს
ხიდები ზღვაზე და კიბეები ცაში,

მაგრამ სამართალს არასდროს იზამს ქვეყანა,
სულის წილ _ თაფლი, თუ გეძვირება _ ფილთა;
მისდევს წკავწკავით და ეტანება ხარბად
ხროვა მუნდირით მოპირკეთებულ შვილთა.

მარად ობოლო,
სულში სინათლეს აძოვებ
(გამჭვირვალეა ჩინოვნიკური მანტია),
ქვის მაგიდაზე საბედისწეროდ უხრწნელი,
საბედისწეროდ შენი ყვავილი ანთია.

მიგრიაულთას
ერთი ძახველის ძახილი
საბელს გამოგდებს, თეთრი ყვავილის მწყემსო,
რომ მოკვდე ერთხანს, და სინამდვილით ჩაშლილი
და გაცრეცილი შენი სიზმრები კემსო.

დაიღვრებიან ნისლის რძეები მთაში,

ისევ გატოპავს ვინმე მდინარის ნემსებს
და წავა...
მაგრამ ამ წასვლა-მოსვლით დაღლილთ,
რა ეშველებათ თეთრი ყვავილის მწყემსებს.

მორჩა ეს ერთიც...
აწ ორლესული ცხადი
სიზმრის ძვალ-ხორცით მოაპირთავებს ხონჩებს;
დასწყევლოს ღმერთმა! რომ არც არავინ მთქმელი _
კიდევ რამდენი უნდა იყოს და მორჩეს.

2000. 6 ოქტომბერი

ცხოვრება

თქვენ რომ გგონიათ,
ჰორიზონტით სავსე მაქვს თვალები,
ჰაერს ვუყურებ მხოლოდ და მხოლოდ.
ვინც ჩემს მზერას თვალს გააყოლებს,
ჰაერში ჩაყრილ საგნებამდე მივა
და გადაწყვეტს, რომ
საგნებს ვუყურებ.
აბა, სხვას რაღა გაემტყუნება,
როცა თვითონაც ვნებდები
ჰაერში ჩაყრილი საგნების გარდუვალობას
სწორედ მაშინ,
როცა
მხოლოდ და მხოლოდ ჰაერს ვუყურებ...

1997. 22 ივლისი

როგორც მოსაცდელ დარბაზში

ჩემი ცხოვრება მე არ მეხება,
მე არ მეხება არაფერი,
                    რაც ჩემს თავს ხდება;
გარს მივლის,
მიდის,
კიდეებისკენ მიირიყება,
არ იდღვიბება ჩემში,
უცხოა,
როგორც წყალში ზეთია უცხო.
მე არ მეხება არაფერი,
რაც ჩემს თავს ხდება.
კი არ ვცხოვრობ,
შენს მოლოდინში გულს ვაყოლებ,
და ყველაფერს
ვხვდები ისე მორჩილად და სხვათაშორის,
როგორც მოსაცდელ დარბაზში მგზავრი _
მოლოდინის სიდიადეზე ჩამოყრდნობილი _

განურჩევლად იყრის თვალებში,
რაც გაყინულ ჩარჩოში შემოვა
(თავშესაქცევად ესეც გამოდგება),
ხოლო
უფრო კეთილშობილი სანახაობის შესარჩევად
მზერის გადანაცვლებასაც კი არ კადრულობს,
არამცთუ თავის მიბრუნებას,
ან სხვა სკამზე გადაბარგებას.

1997. 6 სექტემბერი

***

ვინ არის?! გითხრათ კიდევაც,
ვერ მიგახვედრებთ, ვინ არი;
მარტო მე ვხედავ, ჩემია,
ერთი და დასაფიცარი.

ლექსებმა გასცეს, _ დამსხვრეულ
ფოთლებში მონახულებმა,
მხრებზედაც _ მოლაღურებმა,
სულშიაც _ მოლაღურებმა.

კიდევ კარგი, რომ შემომხვდა,
კიდევ კარგი, რომ ვიცანი;
... "მე იმის სახელს არ ვიტყვი,
ღმერთმა უშველოს, ვინც არი"...

1996. 8 ნოემბერი

წამი საზღვარზე

კამათში მუდამ
მოღალატე იმარჯვებს ხოლმე,
ვისაც იმ წამის უარყოფა შეუძლია,
ჭეშმარიტების ზღვართან მიღწეულს
და თითქმის უკვე გამარჯვებულს,
ზედ საზღვარზე რომ დაუხვდება
და კითხვის ნიშანს აუციმციმებს.

1996. 7 ნოემბერი

***

გაცოცხლდი, გეხვეწები, გაცოცხლდი.
ნუ გჯერა, რომ დაიყვავილეს
                    შენმა თვალებმა,
ნუ გჯერა, რომ მკვდარი ხარ.
იტირე...
ცრემლს ნუ გაიშრობ,
ცრემლი სიცოცხლეა,
იტირე.
იტირე შენი უცნობი შვილი,
სამზეოზე
სისხლის წვეთად გაელვებული.
კაცს აპატიე
(კაცი იყო, ვინც გაწყენინა),
პოეტი კი იტირე მხოლოდ...
(იმას ძალა სტრიქონიდან სტრიქონამდეც
საძებარი აქვს);
დაყარე დარდის ნარჩენები
შენი თვალების ცისფერ ლანგარზე,
ვით დასხეპილი იასამნები,
ჩამოურიგე პატიება,
ვისაც რამდენი ერგება შენგან,
და
მღვდლისაგან გულნატკენი,

პირჯვრისსაწერად შემართულ ხელს
ძირს ნუ დაუშვებ.

1995. 18 ივნისი

ბზარი

გაიხედავ _

გარეშემო:

მწვანე ზნე და მწვანე ვნება;

ყუნწში წვენი მიჩუმჩუმებს

და სინედლის ნეტარება.

რომ გგონია _

ჯერ სად არი

ფოთოლცვენის ჩუმი სნება,

... ტყეს საკუთარ სიმწვანეში

უკვე ეჭვი ეპარება.

თვალი როგორ უნდა მისწვდეს

საიდუმლოს ესევითარს:

ფესვებიდან მოდის ეჭვი,

ფოთოლცვენაც _ ფესვებიდან.

თვალი როგორ უნდა მისწვდეს...

შეხედავ და _ ზამთარია!

ჯერ შორია,

ჯერ სად არი,

ჯერ თოვლები გვაფარია...

რომ გგონია _

რა დაამხობს,

ჯერ რა ძალა დააჩოქებს,

ჯერ სად არი,

გაზაფხული

ჯერ ვერ ჩადგამს მწვანე ქოხებს,

... ყინვას უკვე შიგანს უჭამს

ერთი ბზარი _ მეამბოხე.
მარადისის გვამში მჯდარი
ერთადერთი უკვდავება _
ყოველივეს ბზარავს ბზარი,
უხილავი ეჭვის ნება...
ჩამოჰყვება ბოლო ფოთოლს
და პირველ კვირტს ამოჰყვება.

2002. 22 ოქტომბერი

მარია

წავიდეთო, _ მყუდროზე დათქვეს, _
ბუმბულს არჩევდნენ

დანერწყვილი, ხმელი თითებით.
ამოშალეს სკივრები და ამოაშავეს
სულ შავი, თალხი,
საგარეო ტანისამოსი.
სოფლის გზაზე მიკუნკულებენ.
სხვაგან სად წავლენ, _ სამძიმარზე.
ვიღაციანთ ვიღაც მომკვდარა,
იმათი კბილა.
მივლენ ესენი, მიაძახებენ
"გოგოს" ან "ბიჭოს",
"შე ამქვეყნად გაუხარელოს",
ერთი-ორ სიტყვას დააბარებენ
თავიანთ მკვდრებთან.
ჰოდა, მიდიან...
ერთნაირები...
ერთნაირი ფილაქნები გადმოიარეს,
ერთნაირი მარნის კარი გამოგულეს,
ჩაუარეს უბრალო ვარდებს (ასე ეძახდნენ);
ერთნაირი უბრალო ვარდი ედგა ყველას
და ზამბახები,
მარტო ბებრის ეზოებს რომ შემორჩენოდა.
ერთნაირი წარსულიდან მოდიან და
მიკუნკულებენ ერთნაირები:
გაჭირვება, ომი, ქვრივობა,
გარჯა და გარჯა,
ყმაწვილქალობა _

შეწირული შვილებს და ნამუსს
(და სოფლის ნებას, _ ესეცა ვთქვათ).
მართლა კარგი ბებოები,
კარგი ქალები,
მართლა გმირები
(და გმირობამისჯილებიც, სოფლის ნებითვე, _
ესეცა ვთქვათ).
მიკუნკულებენ ერთნაირები _
ბებრული რუბაშკებით,
წვრილი თეთრით დაწინწკლული თავსაფრებით,
პადიუბკიანი, ნაოჭდაყრილი ქვედაბოლოებით,
ტისონკიანი ბაშმაკებით...
მარია...
ეზოდან დავიწყოთ მარიაც.
ფილაქანს _ არა,
სულ სხვანაირ წინკარს გამოსცდა,
ჟასმინებით ჩამობურულს.
უცხო ვარდები მოჰყვებოდნენ,
მოაცილებდნენ;
მერე ღობეზე გადმოკიდეს
სურნელოვანი, ეკლიანი მკლავები და
გამოაყოლეს ვარდის თვალები.
... და ჟასმინივით ყვაოდა მარია.
გაბედულად მოკუნკულეებს შეერია,
ბევრ იმათგანზე ხნიერიც, ალბათ.
ჩამოვერცხლილი ჩორნაბურკა,

ფრანცუსკები,

ქუდზე _ ბუმბული.

ისინი ხომ მიკუნკულებენ,

ეს _ მიფარფატებს.

მარია...

და რაღაცით ცოდო იყო.

ჩიტის ფეხები აცაბაცა მიჰყავთ

წვრილ ქუსლებს, მაღალ ქუსლებს.

კენჭებზე საყრდენს ვერ მონახავს,

გადაქანდება,

გადასძალავს

მოქნეული კუდი მელისა.

"რა ძალა ადგა, ქა...

მადლიც არი ამ ტალახში...

რაღა დროს ამის ეგეთებია!

როგორ არ იშლის!

სხვანაირად არ მიიღებენ?" _

ამბობენ,

ნათქვამს მუჭს აფარებენ.

უბოროტოდ კი ამბობენ, თანაგრძნობით.

შეეჩვივნენ,

სულ ასეთი ახსოვთ მარია.

წარსულს _ არა, არ უვიწყებენ

(ვის უვიწყებს სოფელი წარსულს;

მით უფრო, როცა არც იციან)!

რაღაცისთვის მოუკრავთ ყური,

იქნება გულში არც კი სჯერათ,
მაგრამ უნდათ და იჯერებენ;
თითქოს მარიას იდუმალ წარსულს
ცხრა ბეჭედი ესვას რწმუნების
და თვალწინ ედოთ.
"თავისმა ქმარმა
თურმე საიდან გამაიყვანა ეგა,
იცით?" _
მეზობლის სტუმრის გაკვირვებასღა
თუ ეცდებიან,
თორემ ამისი გამკვირვებელი
სოფელში ჭუკი აღარ დადის.
არც იცოდნენ სიმართლე და
არც სჭირდებოდათ.
"თურმეზე" იდგნენ.
დაეჭვებაც არ უნდოდათ,
იქნებ, ასეც არ ყოფილაო.
იქნებ, მართლებიც,
იქნებ კიდევ _
ცილისწამების ცოდვაში ფეხჩადგმულები _
გულუბრყვილო, ერთნაირი ბებოები,
ერთნაირობით რომ ზომავდნენ ერთიმეორეს.
სხვანაირი მარია რომ
მათნაირი არ იყო,
რატომ?!
... და ჟასმინივით ყვაოდა მარია.

ცოდო მარია...

როგორც ყველა სხვანაირი _

ბევრ ერთნაირში გამორეული;

როგორც ყველა სხვანაირი _

საკუთარ თავზე

არასდიდებით უარის მთქმელი...

თავპატია ოჯახი იყო,

ერთი-ორი მეზობელი მიიჩვიეს,

უქონელები _

პურის საცხობად,

შეშის საპობად,

ცოტა საძნელო საქმეებისთვის.

... ქათამიც ჰყავდა,

ჯუქი-ჯუქისაც იძახდა და

ლეღვსაც ჩირავდა _

იმათსავით.

ცოტაობდნენ _ ცოტაში გვგავსო...

საოცნებო სარწეველა სავარძელი ჰქონდა,

შავი ხის.

შეგვიყვანდა მეზობლის ბავშვებს _

არ იჩხუბოთ, რიგრიგობით ჩასხედითო.

წყვილი ხავერდის ჩიტი იჯდა

მაღალ სარკეზე,

მოწიწებით თითს შევახებდით _

არ გვიშლიდა.

"მარიიი!

ჟასმინი მამიტეხე პატარა, ქალო,
მკვდარზე მივდივარ".
რაღა იყო,
ჟასმინს ვეღარ დარგავდნენ თვითონ?!
განა მარიას მოგონილი იყო ჟასმინი,
იმათ ეზოშიც იხარებდა.
... მაგრამ ჟასმინი
მარიასთან ყვაოდა მხოლოდ
და ძვირფასი ვარდებით სავსე
ციცქნა ეზოში მოფარფატე
მჭკნარი მოხუცი,
პირთეთრი და თავშენახული _
ჟასმინივით ყვაოდა მარია.
სიბერისგან დალეულიც,
მუდამ,
ყოველთვის,
სიკვდილამდე,
სხვანაირობის იდუმალებით გაშუქებული,
ჟასმინივით ყვაოდა მარია...
... სახლიღა დარჩა პარტახ ეზოში.
ქალაქიდან ჩამოსული შვილიშვილი,
შვილიშვილების უკვე პატრონი,
ზაფხულში თუ გააღებს კარებს
ერთი-ორი დღით.
. . . . . .
ჩვენუბნელი, მაშინდელი ბავშვებიდან

ვინ სადა ვართ,

ვინ საით არი...

ზაფხულობით ვნახულობთ ხოლმე ერთიმეორეს;

მშობლების სახლებს,

ბავშვობის სახლებს,

ჩვენს ნამდვილ სახლებს

ორი კვირით რომ მოველანდებით...

ერთი, ამ ზაფხულს,

თავს რომ მოვიყრით

და ჩვენუბნელ ბავშვებად რომ

ვიქცევით ისევ,

მარიაზე უნდა ვიკითხო,

გახსოვთ-მეთქი? _

ის ჟასმინი,

სარწეველა სავარძელი,

ხავერდის ჩიტები...

ის სხვანაირი მარია

გახსოვთ-მეთქი?

2002. 4 ნოემბერი

ადამიანი _ ცოცხალმშობიარე

მე იმ სახლში,

ბებიის სახლში,

ნიბლია მერქვა.

სახლი კი შუა ზამთარში გვედგა.

ჩუმად თოვდა

სათონეზე, ღობეზე, ბლებთან.

დუღდა ზამთარი ჩაიდანში,

თუხთუხებდა,

და ორთქლზე ხელებმიფიცხებული

ოცდაცამეტი წლის ბიჭი _

ლოთი და ნიჭიერი _

ბიძა იყო ჩემი.

ნაციმბირალი დიდი პაპა

აღარ იყო უკვე ცოცხალი,

რომელიც ჩემმა დიდმა ბებიამ

დღეობაში გაიცნო თურმე.

"ჩოხა მხარიღლივ გადაეგდოო", _

იხსენებდა

და უბრწყინავდა

უბერებლად ლურჯი თვალები.

დაუსრულებლად თოვდა გარეთ...

არ ილეოდა სხვენში თაგვი

და "თამრო" მსხალი.

მთელი ზამთარი ირჩეოდა

სიმინდი ჩვენსა,

ირჩეოდა ნება-ნება,

თავის შექცევით.

ლამის ჩვენთან იზამთრებდნენ

უბნის ბებრები:

მაშო, ნანია.

ჩაის დროაო, _ ბრძანებდა პაპა,

წიგნში ფანქარს ჩაატანებდა;

გადმოვიღებდით ატმის მურაბას _

ჩაშაქრებულს და საწვალებელს;

ნაკვერჩხალში შემწვარ გოგრას

ბებო ნაცარს ჩამოაფხეკდა

და თოვდა გარეთ...

ნიბლია ჩიტს ეძინებაო, _

იტყოდა ბიჭი _

ორთქლზე ხელებმიფიცხებული,

ლოთი და თვინიერი,

რომელიც ბიძა იყო ჩემი,

და რომელსაც
მხოლოდ დიდმა სისუსტემ და უმწეობამ
                მისცა ძალა
ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევის.
... ორთქლზე ხელებმიფიცხებული _
ჩემს ხსოვნაში ასეთად დარჩა.
ნიბლია გოგოს ეძინებაო, _
შეაჟრჟოლებდა სინაზისგან
                ფუძის ანგელოზს,
მომიწვებოდა მერე ბებია,
ბამბაზიის და ზღაპრების
                სურნელით სავსე.
ჩურჩულებდა დაკარგული ობლების ამბავს;
კირით შეფეთქილ კედელზე კი
იძერწებოდა სამყარო,
                მხოლოდ ჩემთვის ხილული,
და ისე ტკბილად მეშინოდა...
ჩემი ბებია _ ცხოვრებისგან გადაქანცული,
                გაუხარელი, უბედური დედისერთა.
უდარდელობა დაიბრალა
                და ხალხს ასე ემალებოდა.
ვერ გაიტანა დარდი გულიდან,
ღობე-ღობე ვერ გამოფინა.
შემოხიზნული კატა და დარდი
ცოდვით შინიდან არ გაიგდება.
. . . . . .

დღეს იმ ეზოში

უცხო კაცი დგას და იძახის:

ჩემი ეზოო,

ჩემი სახლიო,

ჩემიო, ჩემი!

იმისია, ღმერთმა ამრავლოს,

მაგრამ მე სად მოვიკითხო

ჩემი ბავშვობა,

ის ნიბლია სად მოვიკითხო!

ჩვენი ფესვი ამოთხარა ახალმოსახლემ,

ღობის გარეთ გადაისროლა

უსარგებლო, ზედმეტი, სხვისი...

ჩემო თოვლებო,

ჩემო ბებრებო,

ჩემო სხვენო და ,,თამრო" მსხლებო,

სად მოგიკითხოთ?

. . . . . .

დღეს ვინ არის თქვენი ნიბლია?!

არც არავინ _

თმენის ქალი

და

სიკვდილის პოეტი,

და არც ერთი ეპატიება,

რადგან ღმერთს მაინც

სულ სხვა ჰქონდა ჩაფიქრებული:

ადამიანი _ ცოცხალმშობიარე.

1991

ტოპაზები

ღვინისფერი, ჩაისფერი
ტოპაზები ჩაქრებიან,
გაქრებიან ლანდები...
აღარ მომელანდები...
ვალები და ვალალები,
დილები და დალალები,
ღამე _ მღვიმე გიშრისა.
ძოწები და ამეთვისტო...
ძერწავს იმედს,
უხმობს თვისტომს
უხმო მოთქმა გიჟისა.
განშორება შენდება,
მარტოობა შენდება,
აღარც გაგახსენდება
ტოპაზივით თვალები.
ვალალები, ვაება...
დანანება ვეება...
დალალებით დაება
მოლოდინის ქალი.
მელანდება კუბო……

უნდა დავიღუპო...
უნდო ყოფნა,
სანდო მიწა,

მიწისფერი უპე;
სული გადაიპო,
უკვე დავიღუპე...
უკვე დავიღუპე...
ზარები და ზარი,
ქარიანი ქარი;
მოდი, ცრემლი მითხარი,
სტრიქონი გამითხარე...
იცი, როგორ მიყვარდი?!
იცი, როგორ მიყვარდი?!
იცი, როგორ მიყვარდი?!..
ღვინისფერი, ჩაისფერი
ტოპაზები უკვე ჩაქრა,
გაქრა ჩემი ცხოვრება,
ვალალები, ვაება…...
დალალებით დავები...
სიყვარულის გამოა...
ვის რას მოვედავები...
შემომხვია სიკვდილმა
ხავსიანი ტორები...
აღარ გემახსოვრები...
აღარ გემახსოვრები...

1995. 13 დეკემბერი

ბიბლიურ ევას

მოგიჯახუნეს კარი

მოლანდებული ბაღის;

რა გეშველება ახლა

ცოდვით სავსეს და დაღლილს.

ეს გინდოდა და, აჰა!
ეს გინდოდა და გქონდეს:
სიხარულები _ ძვირი,
დარდი _ სრულიად მუქთად.

გედრიკებოდეს ფეხქვეშ
ყოფნა-არყოფნის კიდე,
ცრემლში აზელილ ლუკმას
სისხლის წვიმაში მკიდე.

დღის დაღამება სიმწრით,
სიმწრით ღამეთა თევა,
გაუქმებული ფრთები
და იმედების მსხვრევა...
. . . . . .
შენ რა გითხარი, ევა...
შენ რა გითხარი, ევა...

1994. 19 ნოემბერი

სიზმარში... სიზმარში...

შვილს

ნუ გეშინია, მე შენ მყავხარ,

სიზმარში მყავხარ...

უყვარხარ დედას,

დარდობს დედა,

როცა სიზმარში ავად უხდები,
და ამ დარდით ბედნიერია.
ნუ გეშინია, მე შენ მყავხარ.
სიზმარში კოცნის დედა შენს მუცელს,
სიზმარში რეცხავს საყვარელ სარეცხს _
სასაცილო პერანგებს და სახვევებს შენსას,
ვაშლებით და ბაჭიებით
 წვრილად მოჩითულს;
და სიზმარში გიფიცებს დედა.
ნუ გეშინია, შენ ჰყავხარ დედას,
რძის ნიაღვრებს გინახავს მკერდით
                სიზმარში... სიზმარში...
ნუ გეშინია, მე შენ მყავხარ,
დედა ვარ და ოაზისი ვარ, სასწაული ვარ,
                სიზმარში... სიზმარში...
სიზმრის ხალხი ვართ, სიზმრად მცხოვრებნი,
სიზმრიდან ვერ გამოაღწია
ჩვენმა სიზმრის დედაშვილობამ...
მაპატიე, რომ ვერ გაგაჩინე,
                რომ არ შედგა შენი ცხოვრება;
გაპატიებ, რომ ვერ გაჩნდი,
                რომ არც ჩემი ცხოვრება შედგა.
ვაპატიოთ ერთმანეთს, რომ
ერთმანეთი ვერ გავაჩინეთ.

1995. 13 დეკემბერი

შრომათერაპია

აწებებენ პაწაწინა ქაღალდის პარკებს
აქ მყოფთა შორის
ყველაზე უფრო "მოაზროვნენი".
ხუმრობა კი არ არის,
განა ადვილია:
ფუნჯი _ წებოში,
მერე _ ქაღალდზე,
მერე _ გაკეცავ...
აწებებენ პაწაწინა ქაღალდის პარკებს
გასხვისებული თითებით.

გიჟს საკუთარი არაფერი აქვს,

რადგან

შენს თავს შენ თუ ვეღარ ფლობ,

ეშმაკები დაგიტაცებენ.

... უპატრონო ეკლესიები...

აწებებენ პაწაწინა ქაღალდის პარკებს,

მაგრამ თვითონ სადღაც არიან.

მერე ერთი იტყვის:

"არ მინდა, ვაწებებდე ქაღალდის პარკებს;

არა იმიტომ, რომ მეზარება,

არა იმიტომ, რომ საჭირო არ არის;

არ მინდა,

რადგან მეშინია არ მითხრათ _ "ყოჩაღ".

მე ლექსებს ვწერდი,

როცა ჩემი თავი ვიყავი".

... აწებებენ ქაღალდის პარკებს,

რომელთაც შემდეგ სახელმწიფო

რაიმეში გამოიყენებს,

მაგრამ ვერც ერთი მომხმარებელი

ვერ მიხვდება,

რაღა თქმა უნდა,

როგორ უბრალოდ და სხვათაშორის

შეახო ხელი

გასხვისებული თითების ტრაგედიას.

19 . .

ჩვენ მუდამ ვჩანვართ

აუმღვრეველი დუმილის მხრიდან
ნათლის მდინარე მოჩქეფს ულევი
და ხელისგულზე ვუსხედვართ უფალს
სირცხვილის შემდეგ ჩასახულები.

ჩვენ მუდამ ვჩანვართ...
არც დრო, არც ჭერი,
არც სამოსელი გვფარავდა დღემდე,
და ყველაფერი ხდება ამქვეყნად
სირცხვილამდე, ან სირცხვილის შემდეგ.

არ არსებობენ სამალავები,
თუ არსებობენ, არას მალავენ;

სადმე შეყუჟულს პოეზია და
თვალები მაინც მოგვიპარავენ.

ნამდვილი თუ ხარ, თან ამოჰყვები
სულის ჩანგიდან აწყვეტილ სიმებს,
ლექსიც ტანჯულთა რელიგიაა,
ამ სტრიქონებსაც ჩახედავს ვინმე.

ვიტოვებ მხოლოდ შენს ძვირფას სახელს,
ვდგები სინათლის შიშველ მხარეში,
და ვახელ თვალებს, როგორც სტრიქონებს,
ჩამხედე ლექსში, როგორც თვალებში.

დაგარწმუნებენ ჩემი ლექსები,
ჩემი თვალების თაფლი და ქარვა,
რომ უფლის მზერით შუქდაყრილები _
ჩვენ მუდამ ვჩანვართ.

19 . .

ერთით მეტი მდინარე

ეჰ, ჩემო კარგო,
სწორედაც რომ "ეჰ"...
ჭკუას რომ მასწავლი, თან კეთილი გულით,
მადლობას იმსახურებ,
მაგრამ ნუ დამძრახავ, თუ ვერ დაგიჯერე.
აბა, შენ საიდან უნდა იცოდე,
მე რა გადამარჩენს,
შენ ხომ არასდროს ყოფილხარ
ელა გოჩიაშვილი
და არც ჩემი თვალებიდან გამოგიხედავს.
შენ როცა მითხარი _ "გრცხვენოდეს!"
მე მაშინ ვიფიქრე _ "მაღალი ვარ".
შენ როცა მითხარი _ "დაიღუპე",
მე მაშინ ვიფიქრე _ "გადავრჩი".

კარგად კია ნათქვამი,
წინა კაცი უკანას ხიდიაო,
მაგრამ იმდენი მდინარე მაქვს გადასალახი,
რაც ქვეყანაზე ძეხორციელი დაბადებულა
დასაბამიდან,
მკვდრები რომ აღსდგნენ
და ცოცხლები გაუკვდავდნენ,
მოვიდნენ და ხიდებად მექცნენ,
სულ ერთია,
ერთი კაცი უნდა დამაკლდეს.
მდინარე კი, ორიც რომ იყოს,
მათგან ერთი მაინც ის არის,
რომელმაც მე
უეჭველად უნდა დამახრჩოს.
ეჰ, ჩემო კარგო,
სწორედაც რომ "ეჰ".
ერთით ნაკლები ხიდი...
ერთით მეტი მდინარე...
და ნუ მიწყენ, თუ ვერ გიჯერებ;
ჩვენ ხომ დაგვსაჯეს განუმეორებლობით
და ერთმანეთს მუდამ ვირეკლავთ.
მწვანე ფოთლებზე
თითქმის ყველა ერთი აზრის ვართ,
თუმცა, ეს მხოლოდ მიახლოებით.
ვამბობთ _ "მწვანეა",
მაგრამ ვხედავთ სხვადასხვაგვარად.

გვიშველის ვითომ
"მიახლოებით" ერთი აზრი,
როცა სხვა,
უფრო მნიშვნელოვან საგანზეა საუბარი
და კრისტალივით პასუხი გვჭირდება?
ჩვენ ხომ ამქვეყნად
მხოლოდ ფოთლებზე სალაპარაკოდ
არ მოვსულვართ.
ან შენი რჩევა რანაირად გამომადგება?
შენ დატანჯულხარ ჩემი კოშმარით? _
რაღაც უხილავი და უსხეულო რომ მომიწვება
და წამებით სულსა მხდის ხოლმე.
ჩემი ლექსი დაგიწერია?
ჩემი სხეულით მოგნატრებია
ის ყვითელსახიანი კაცი?
... კარგად იყავი,
მე აქეთ უნდა წავიდე.
და თუნდაც გადავიჩეხო,
ის მაინც მეცოდინება, რომ
ჩემს გზაზე მივდიოდი.
სწორედაც რომ "ეჰ".

19 . .

მკითხე...

შენ ნუ მკითხავ მაინც წარსულს"...

გალაკტიონი

არა მაქვს აწმყო,
არ ვცნობ მომავალს,
სულიც დაშრა და დამიბოლოვდა,
და მაქვს წარსული...
რადგან ამქვეყნად
მეც ხომ რაიმე უნდა მქონოდა.

მკითხე...
შენ ერთმა უნდა იცოდე,
რას გლოვობს გული _ დარდის კარავი;
რას ნიშნავს მთვარე, რას ნიშნავს დაღლა _
შენ უნდა მკითხო და სხვამ არავინ.

ამაოდ მეძებს, ამაოდ მიხმობს,
ვინც ჩემს ცხოვრებას ჩხრეკს და აფასებს,
რადგან ყველასთვის შორს და დაგმანულს
მე მხოლოდ შენთვის გავხსნი დარბაზებს.

შენთვის ამოვზრდი დუმილის ჭიდან

ჩემს წარსულს _ ჩუმ და მზენაკლულ ყვავილს;
იქ უბოლოო ტკივილი ბორგავს
და დამარხული სურვილი ბღავის.

არა მაქვს აწმყო, არ ვცნობ მომავალს,
სულიც დაშრა და დამიბოლოვდა,
და მაქვს წარსული, რადგან ამქვეყნად
მეც ხომ რაიმე უნდა მქონოდა.

ჯილდოდ მერგო თუ სასჯელად მადევს
ეს სინამდვილე ზღვარგადასული _
რომ არასოდეს მქონია აწმყო,
მაგრამ ყოველთვის მქონდა წარსული.

1994. 27 ნოემბერი

მოლაღურების ჭირისუფალს

მორჩილი წყენით და საყვედურით,
ნეტავ, ვის ხსოვნას შეურხევს სიმებს
ქალის თვალებში ჩამდგარი დარდი,
გადაუღებლად სველი და მძიმე.

ვის მოგონებას შეაკრთობს ლექსი,
სისხლნაკლული და სევდამრავალი,
ნოემბრის ღრმა და მჟღერი სულიდან
ყვითელ ნისლებად ამომავალი.

ვდგავარ სურვილის ალესილ ქიმთან,
ტრფობის წინაშე უხმლოდ, უფაროდ,
და უნუგეშოდ მიყვარხარ ასე,
მოლაღურების ჭირისუფალო.

შენ ყველაფერი გახსოვს და იცი,
რომ სიყვარული ასეთი უნდა,
რომ არასოდეს ამიცდენია
ბევრჯერ ნასროლი ბინძური გუნდა,

და არც ავიცდენ, რადგან სიყვარულს

მე სამკაულად არ ვიბნევ გულზე;
რაც უნდათ, ის თქვან...
მე შენ მიყვარხარ!
და ფრთებდამსხვრეულ მგალობლებს ვუმზერ

ჩუმი იმედით, რომ ახლა სახლში
შენ დაგაკავებს სიკვდილი მხოლოდ;
იცი?! _ ფოთლების ბოლოს ქარია...
ნოემბერია ქარების ბოლოს...

იქ კი, სურვილის ალესილ ქიმთან,
ტრფობის წინაშე უხმლოდ, უფაროდ,
წუხს ჩემი ლანდი, დახრილი შენკენ,
მოლაღურების ჭირისუფალო.

1992. 30 სექტემბერი

ნეტა ერთხელ ჩემ თავს შემყარა

ბევრი რომ ნახო,

სადმე წასვლა

სულ არ არის, თურმე, საჭირო.

სანახავი ყველგან ერთია.

მთავარია, იმ წუთებში

ვინა ხარ და რისი მსურველი.

მშვენიერების დამნახავი ხარ?

აიხედე:

ცა, ღრუბელი, ნისლი, ვარსკვლავი,

ფრთოსანი, ტოტი...

დაიხედე:

მტვერი, ეკალი, ყვავილი, ლოდი,

მიწა, კალია...

გაიხედე, გამოიხედე _

ყველაფერი მშვენიერია.

სიმახინჯის დამნახავი ხარ?

აიხედე:

ცა, ღრუბელი, ნისლი, ვარსკვლავი,

ფრთოსანი, ტოტი...

დაიხედე:

მტვერი, ეკალი, ყვავილი, ლოდი,

მიწა, კალია...

გაიხედე, გამოიხედე _

ყველაფერი მახინჯია და მოსაწყენი.

ბევრი მინახავს, მაგრამ მთავარი

უხილავი დამრჩება მარად _

ჩემი თვალებით ჩემსავ თვალებში
ვერასოდეს ვერ ჩავიხედავ.
და ნეტა ერთხელ ჩემს თავს შემყარა...
ვინ არ მინახავს: ამვლელი, ჩამვლელი...
გულწრფელი პოეტიც კი,
კეთილი ქველმოქმედიც კი,
ბედნიერი შეყვარებულიც კი მინახავს.
და ნეტა ერთხელ ჩემს თავს შემყარა...
სარკე ყალბია _
მინდა-არმინდა, საკუთარ თავს
ვენაზები მაინც სარკეში,
თან ისე ვცდილობ, გულწრფელი ვიყო,
აღარაფერი რჩება ჩემგან.
არა, სარკე სანდო არ არის.
ფოტოც ყალბია _
თავს ძალიანაც შემოვუძახო,
ვეკრძალები ფოტოგრაფს ისე,
და იმგვარად მეშინია
ამ უწყინარი ადამიანის,
თითქოს, სურათს კი არ მიღებდეს,
როზგით მედგეს და დამჭყიოდეს:
აბა, გამოჩნდი!
აბა, მეჩვენე!
მე კი,
რადგან სულ არ მინდა,
მასთან გავშიშვლდე,

ვჯიუტობ, ვებრძვი, ვემალები,
ნიღაბს ვაჩეჩებ
და ისე ვცდილობ, ყალბი ვიყო,
აღარაფერი რჩება ჩემგან.
არა, ფოტოც არ არის სანდო.
ვინ არ მინახავს,
ზოგსაც კიდევ მერე ვიხილავ,
მაგრამ ამას _ "მე"-ს რომ ვეძახი,
ჩემთვის ყველაზე საინტერესოს,
ვერასოდეს გადავეყრები.
და ნეტა ერთხელ ჩემს თავს შემყარა...
სად მოვიძიო,
სად წავიდე,
ვისთან მივიდე,
საკუთარ თავს რომ შემახედოს;
ამომაფაროს სანდო სამალავს
და ჩუმად მითხრას:
"აგე, შენა ხარ...
უთვალთვალე, სანამ შეგნიშნავს"...
... ის მოდიოდეს და არ იცოდეს,
რომ მე ვუცქერი.
ესეიგი,
მე მოვდიოდე და არ ვიცოდე,
რომ იქვე, სადღაც,
საკუთარ თავს ჩავსაფრებივარ...
... მარტოდ მავალს თუ სხვებში შერეულს,

სასაცილოს თუ სევდის მომგვრელს,
კაციდან ხეზე
გულგრილად მზერის გადამნაცვლებელს
თუ
შენს ფანჯრებზე თვალებშეყინულს,
დაუმახინჯებელს,
შეულამაზებელს,
ნამდვილს,
უცაბედს _
ნეტა, ერთხელ ჩემს თავს შემყარა...

1994. 24 სექტემბერი

პასუხი

(მოლაღურების ჭირისუფალს)

თუკი ფიქრობ, რომ შენს შუადღეში
მხარნაქცევი და უცხო მთვარე ვარ,
თუ ჩამითვალე ეს სიყვარული
მართლა შეცდომად და გზის არევად,

თუ გირჩევნია ტკივილთან წოლას
აუმღვრეველი მზის სარეცელი,
თუ არც იკითხე, შენგან წასული,

როგორ გავქრები და დავეცემი;

ასე ზედმეტს და შენთვის უხილავს
წამოვკრეფ ნათელს, გამოგარიდებ,
და წავალ, მაგრამ,
და წავალ, მაგრამ,
და წავალ, მაგრამ...
... საით წავიდე...

საითაც წავალ, იქით მოვკვდები,
და ველარ შევძლებ, ხელახლა ვიშვე;
მივდივარ, გესმის?
მივდივარ, გესმის?!
... ნუთუ შენ გესმის და მაინც მიშვებ.

მე შენს ბრწყინვალე, კაშკაშა დღეში
შეხეტებული მთვარე ვიყავი;
... და გიწევს მკლავზე მხარუქცევი მზე _
ბედნიერი და გაურიყავი.

199 .

***

"გადამარჩინე!" _ მითხარი მაშინ
და ჩაგიღრმავდა თვალებში მწუხრი.
მე დავიჯერე _ მართლა გიჭირდა,
მართლა გტკიოდა და მართლა წუხდი.

დავმთავრდი შენი დარდების ფერხთით,
მოგეძღვენი და შემოგეხიდე;
შენ კი ცხოვრობდი...
და არც გახსოვდა,
რომ შენს საშველად ჯვარზე ვეკიდე

მთლიანი, როგორც თავად სამყარო,
განუყოფელი წყევლა და ლოცვა;
ვერ დავნაწილდი, ისე მიყვარდი,
ვერ დავიშალე სულად და ხორცად.

მსურდი დიდხანს და უშეღავათოდ,
ციდან მიწამდე... სულით, სხეულით...
და ვმაღლდებოდი შენი სიღრმისკენ,
ნათელ წყვდიადში გამოხვეული.

ვტოვებ მომავალს, უშენოდ ჩავლილს,
და ვხვდები წარსულს, ტკბილს და საშინელს...
რა გჭირდა ჩემი გადასარჩენი,
მაგრამ მე მაინც გადაგარჩინე.

1995. 13 დეკემბერი

კედელი

არავის უნდა, უჩუმარი კედელი იყოს,
და ყველას უნდა, იყოს ჩუქურთმა.
ვინმე ხომ უნდა დაწვეს ბილიკად
მწვერვალისაკენ... ცისკენ...
ვინმე ხომ უნდა დამთავრდეს ჩუმად,
უსახელოდ და უზარზეიმოდ,
ვინმე ხომ უნდა ჩადგეს საძირკვლად,
ვისაც არასდროს გადააბრწყინებს
აღტაცებული თვალების შუქი
და მხოლოდ თვითონ ემახსოვრება,
რომ ამოდენა მშვენიერება
მის მკერდზეა დაშენებული...
რად არა გვყოფნის ჩვენივ თავი,
რად არ ვიცით ნამდვილი შეწირვა?
რატომ დაჰყვა ასეთი გემო თაყვანისცემას _

მაცდური, ბრმა და დაუშრეტელი,
რომ ყველას უნდა, ხმამაღალი ჩუქურთმა იყოს,
და არვის უნდა, იყოს კედელი.

19 . .

ლიას, ნიას _ ჩემს დებს

არ მახსოვს, მაგრამ მენატრება
ჩვენი ბნელი, ნათელი ბინა _
დედის წიაღი,
სადაც სამივემ მოვითქვით სული
პირველად და უკანასკნელად,
რომ მერე მუდამ ის გვენატრა,
რაც აღარ გვახსოვს;
რომ მერე, მოკლულს სიყვარულით,
ცოდვიანი სიტყვები მეთქვა:
წყეული იყოს ღამე, რომელმაც მე ჩამსახა
ქალად და მეტრფედ,
წყეული იყოს ღამე, რომელმაც მე ჩამსახა...
ისინი ყოველთვის ჩვენზე ბევრნი იქნებიან,
ვინც ჯერაც არ დაბადებულან,
და ნათქვამიც სრულყოფილებით

უთქმელს როგორ გაუტოლდება...

თქვენც ყოველთვის იმაზე მეტი იგულისხმეთ,

ვიდრე ვამბობ.

დაი ვარ თქვენი,

თქვენთან მინდა ამოვიტირო:

არ მახსოვს, მაგრამ მენატრება...

არ არის, მაგრამ მენატრება...

არ მოვა, მაგრამ მენატრება...

წყეული იყოს ღამე, რომელმაც მე ჩამსახა

ქალად და მეტრფედ,

წყეული იყოს ღამე,

რომელმაც მე ჩამსახა.

19 . .

წვიმების გამო

ხომ სასჯელია ყოფნა უშენოდ,
ხომ ყველა ცუდი სიზმარი ახდა,
მაგრამ ხსოვნის და წარსულის გამო,
ამ მშვენიერი წუხილის გამოც,
არ შემიძლია სიკვდილი ახლა.

რა უფლება მაქვს, სასჯელს გავექცე...
ციდან მწუხარედ ჩამორხეული,
გდია ნისლებში და იხარჯება
წვიმის გრილი და ლურჯი სხეული.

მარადის გარეთ დატოვებული,
ჭერის და სარკმლის მიღმა წრიალებს;
თავისი სევდით და სიმარტოვით
რას გვეუბნება ადამიანებს.

რას შემოგვტირის და ვერ გვაგონებს,
ღრუბლის მკერდიდან ჩამორღვეული,

ძველისძველი და საყოველთაო,
მაინც უცხო და მაინც ეული.

არ შემიძლია ახლა სიკვდილი
და შერიგებას ტკივილთან ვლამობ;
არ შემიძლია ახლა სიკვდილი,
თუნდაც ამ წყნარი წვიმების გამო.

ხომ სასჯელია ყოფნა უშენოდ,
ხომ ყველა ცუდი სიზმარი ახდა,
მაგრამ ხსოვნის და წარსულის გამო,
ამ მშვენიერი წუხილის გამოც,
არ შემიძლია სიკვდილი ახლა.

1992. 13 ოქტომბერი

გიჟები და მთვარეულები

შუაღამე
საყოველთაო მოსვენების ჟამი არ არის,
შუაღამე
შეპყრობილთა ბორგვის ჟამია.
როცა ერთ პირს მდინარეებიც ჩაიძინებენ,
ფოთლებს ნიავი დაეხსნება,
პოეტს _ წვალება,
მკვლელს _ მსხვერპლის ლანდი,
შეყვარებულს _ სატრფოს ბაგეზე ართმეული
ბადაგის გემო,
როცა ლეთა წალეკავს მიწას,
ძილგადაფენილ ქვეყნიერებას ჯანსაღ წიაღზე
მოცახცახე, დაფეთებული საცეცები
ამოეზრდება _
გიჟები და მთვარეულები გამოდიან
უკაცრიელ დედამიწაზე
და უდრტვინველად,
მარადიული სიცოცხლის უღელს
უმწეო მხრებს შეაშველებენ.
როცა ერთ წუთს მდინარეებიც გაშეშდებიან,
როცა ლეთა წალეკავს მიწას,

მძინარ სხეულში ზარი ჩამოჰკრავს,
ზნემოვლილი ქვეშაგებიდან
მთვარეულის თბილი ფეხები ჩამოიღვრება
და სიფრთხილეასხმული ტანი
უჩინარ მეგზურს აედევნება...
შუაღამე მოსვენების ჟამი არ არის,
შუაღამე შეპყრობილთა ბორგვის ჟამია.
როცა ერთ წუთს მდინარეებიც გაშეშდებიან,
როცა ლეთა წალეკავს მიწას,
ცხაურებით აჭედილ ღამეს
ვინმე შეშლილი მიაწყდება,
ცას მიაბჯენს
საყვედურით გაკაწრულ თვალებს,
დაიჩივლებს, გულს ამოისკვნის,
მაგრამ არ ცნობს
ვოლიერში დამწყვდეულ სევდას
მძინარეთა უცოდველობა
და უცრემლო ქვითინის ექო
კვლავ უნუგეშოდ ჩაიფერფლება...
შუაღამე შეპყრობილთა ბორგვის ჟამია,
შუაღამე
საყოველთაო მოსვენების ჟამი არ არის.
ვიღაცა მუდამ უნდა ფხიზლობდეს,
მძინართ სჭირდებათ
მონაცვლე და მიმტევებელი.
და როცა ერთ წუთს

მდინარეებიც გაშეშდებიან,
როცა ლეთა წალეკავს მიწას,
მოჩვენებებით დანაღმულ გზებზე გამოდიან
გიჟები და მთვარეულები,
დგებიან ვრცელი ღამის წინაშე,
მარადიული ყოფნის უღელში,
და არაფრისკენ გაწვდილ ხელებს
ვარსკვლავებში აფათურებენ.

1987

როდერიკ აშერის სიტყვები

"მოსახდენის მოლოდინი მზარავს",

მტკივა ჩემი ამღვრეული გენები,
მედელეინ, ნუ დატოვებ კუბოს,
მედელეინ, ნუღარ მომეჩვენები.

ჩემი სული ლოდებზეა დაფენილი,
მეუფლება ნესტიანი ხავსი,
მე მწუხარე სხეული მაქვს, მედელეინ,
გაცრეცილი ფაიფურის მსგავსი...

შეშლილობით ამოვსებულ თვალებში
ნაცნობ ხილვებს აღარ უჩანს ბოლო...
სიკვდილამდე არაფერი არ იქნება,
სიკვდილამდე სიცოცხლეა მხოლოდ.

მოწრიალებს სისხლიანი სუდარა,
მოვა, კვნესით მოაწყდება კარებს...
დროზე მაინც გადაიხსნას ჭაობი,
დროზე მაინც ჩამოვარდეს მთვარე.
... "მოსახდენის მოლოდინი მზარავს..."

1987

***

როცა ვეღარსად მოგიხელთებ,
როცა არსად არის ჭერი _

ჩემი და შენი შემფარებელი,
არადა, ისე მინდა,
გვერდიგვერდ ვიდგეთ
და რაღაცა გვქონდეს ზიარი...
გამოვხსნი ხოლმე სიტყვას _ "ჩვენ",
შეგიყვან და შემოგყვები.
ამ სიტყვაში ისე თბილა
და ისეთი ჟრუანტელისმომგვრელი
ინტიმია...
. . . . . .
ვაი, უნუგეშოდ შეყვარებულებს,
ვაი, სიტყვაში თავშეფარებულებს.

1987

ხეებს

როგორ არავის ებრალებით გაზაფხულისთვის,
როგორ ადვილად გიმეტებენ გაზაფხულისთვის.
მარტო ფოთოლცვენისას თანაგიგრძნობენ,

რადგან ადვილია
შიშველი ცრემლის დანახვა და მოფერება.
გაზაფხულზე კი
აღტაცებით ტაშს უკრავენ,
რისთვისაც გუშინ
ღრმა სამძიმარს გეუბნებოდნენ.
ველარ გამჩნევენ
არანაკლებ მძიმე ტკივილებს,
მხოლოდ სხვაგვარად _
ფოთლებად და ყვავილებად ამოკვნესებულს.
ვერ მიმხვდარან,
ჯალათივით რომ დაგდგომიათ
მწვალებელი აპრილი თავზე
და ფესვებიდან გივლით კანკალი
ყოველი კვირტის ამოტეხვისას.
როგორ ადვილად გიმეტებენ გაზაფხულისთვის...
არ იციან, რომ
შემოდგომის ბანგი გერჩიათ,
შემოდგომის დიდი სიმშვიდე.
თორემ ფხიზლებს
უფრო მეტად დაგეზარებათ,
რამდენი ყვავი ცას შეახეთქებს
ძველისძველ ბოღმას,
რამდენი ქარი აიშლის ნერვებს
თქვენი შტოების თავში სახლელად.
... სიცოცხლე ჰქვია,

მაგრამ მაინც ტვირთია

ჟამი _

გამწვანებიდან _ ფოთოლცვენამდე.

მარტო ფოთოლცვენისას თანაგიგრძნობენ...

რატომ ჰგონიათ,

რომ მიქცევა უფრო ძნელია,

ვიდრე

სიცოცხლეატანილი სხეულის გაძლება,

ვიდრე დაბადება,

ვიდრე ყვავილობა,

ვიდრე სიყვარული.

1986

მამაჩემის სიკვდილი

როს გაეყარა სული ხორცს,

ხორცს _ დამარცხებულ მხედარს,

საფლავში ძუძუ ეტკინა

ბებიაჩემის ცხედარს.

198 .

დედას

დედის გულზე რას არ ჰყვებიან,
რაღა შენმა გულმა ვერ იგრძნო,
რაღა შენ ვერ იგუმანე,
რომ სხეულში ჩემზე ორსულს
ბავშვი კი არა,
სევდა გყავდა ჩასახული.
რატომ ვერ მიხვდი,

რომ სასტიკი შეცდომა იყო
ცხრა თვე მუცლით სევდის ტარება.
ან მერე,
როცა საშოს გამოვცდი,
ლარი გადაჭრეს,
სამუდამოდ დაგვაცალკევეს
და დამაგდეს მარტოობაში,
რად მომეფერე,
რად გამათბე,
რად დამაპურე,
რატომ მზრდიდი კაციშვილივით;
სახვევებში მოცახცახე უსასოობა
ბავშვისგან როგორ ვერ განასხვავე.
დედის გუმანზე რას არ ჰყვებიან,
რაღა შენმა გულმა ვერ იგრძნო...
მიწიდან გასაგდებად,
ცაში ჩასახრჩობად,
დაწყევლილი სიყვარულისთვის,
უსიხარულო ყოფნისათვის,
არაფრისათვის, არავისათვის _
რატომ დამბადე...

1990. 11 მარტი

ჩემი ღამეები

მოვა ღამე,
ჩამომიჯდება საწოლზე შავად,
უბოდიშოდ სულს ამომართმევს,
გადაიფენს ფართო კალთაზე
და როგორც ბადეს _
წყლისქვეშეთში ხეტიალით თვლებჩავარდნილს,
გამდნარს და ჩაშლილს,
                კემსავს დილამდე.
რიჟრაჟზე უნდა ისროლონ ბადე,

გადააშალონ
ადამიანთა საშიშარ რიფებს,
იბობოქროს დღის ოკეანემ,
თუ სადმე ნარი და ეკალი აქვს,
ამოადუღოს,
ქაფად მოიგდოს,
ჩემს ბადეში ჩამოწუროს
ბოლო წვეთამდე.
მოვა ღამე,
ერთ იარას პირს რომ შეუკრავს,
მეორეს გახსნის.
თავისი წილი იმასაც მიაქვს.
თითო წყეული ყველას უზის
ჯავრიან გულში.
. . . . . .
ღამე სულ სხვაა,
მხოლოდ ღამით ხარობს მისტიკა _
სურნელგაცლილი, შავი ჟასმინი.
გულხეთქებით იფოთლება
მწუხრის ბაღებში,
უნდა მოასწროს და იყვავილოს,
თორემ დილისთვის ძალას კარგავენ
და აისებს ეფინებიან
ჯადოახსნილი, მკვდარი ფურცლები.
ღამე სულ სხვაა,
მძაფრია ღამე,

ერთ ფერში ხატავს,

მაგრამ რა კარგად...

. . . . . .

ყოველთვის არა,

მაგრამ უმეტეს,

ღამით იქმნება ის ყოველივე,

რაც ჩვენს სულს

ასე ძლიერ სჭირდება

და რამაც უნდა გადაგვარჩინოს.

. . . . . .

როდის გახსენდები?

როცა მკრთალი, გამჭვირვალე ღამეებია,

როცა მთვარეს ასაკი შვენის _

ყვითელია, სავსე, აშკარა,

დევს მაღალი შუაღამის ზედა თაროზე

და ლამაზია,

ცის დედისერთა, პოეტების ნებიერი.

წვეთავენ ლურჯი ვარსკვლავები.

შრიალებენ მღამიობები,

ფრთებით გააქვთ და გამოაქვთ ბინდი,

რომ სადმე ერთგან არ დატბორდეს,

რომ ყველას შეხვდეს,

რადგან იგი ყველას სჭირდება,

ზოგს _ წამლად და ზოგს _ საწამლავად.

ასეთ ღამეში,

ბუმბულივით მსუბუქ ღამეში,

არ გახსენდები?

როცა მუქი,

ისე მკვრივი ღამეებია,

თითქოს გზადაგზა

გიშრის მთები ჩამოაზვავეს,

როცა ირგვლივ ბატონობს მწიფე,

კუნაპეტი ანწლების ტევრი,

არაფერი აღარ იცნობა,

აღარც ღრუბლის თარო ჰკიდია,

აღარც მასზე შემოდგმული

მთვარე _ ყვავილი.

ვეღარ იხსენებ,

ცა საით არის და მიწა _ საით.

ახლა რომ გთხოვონ,

იქნებ, როგორმე,

ერთი ვარსკვლავი მოძებნო და მომიწყვიტოო,

შეიძლება ხელი ცისკენ გაიწოდო,

მიწა კი შეგრჩეს...

ასეთ ღამეში,

ასეთ ღამეშიც არ გახსენდები?

რითი არა ჰგავს ამნაირ წყვდიადს

ქალი, რომელიც არ შეიფარე;

ის უიღბლო სიყვარული

განა წყვდიადმა არ დაიმსგავსა?

შენთან მინდა,

გამოდი გარეთ,

ვითომ ბნელში მხარი გვეცვალა,
დავიკარგოთ,
მთელ ქვეყანას გავექცეთ სადმე;
ნუ გეშინია,
თუ ეჭვები დაგეშეს და
კვალში ჩაგვიდგნენ,
ჩემი სახელი მივუგდოთ მდევართ.
მაინც ავი თვალის მსხვერპლი ვარ, _
მე ჭიშკარზე
ცხენის ნალი არ მიკიდია.
. . . . . .
უნდა გათენდეს!
ახლა სადღაც გათენებას ელოდებიან.
მათი ჯერია, ვინც დღისით ცხოვრობს.
ტოროლები იფშვნეტენ თვალებს,
ღამურების ჟამი დასრულდა.
უნდა გათენდეს...
რიგრიგობით გავშალოთ ფრთები,
ჭრელ სამყაროში
ყველამ თავისი ფერი იცოდეს...
ღამე უკვე გადაქანდა,
ბზარი გაუჩნდა,
შუქის ბარტყი აუფართხალდა
უკუნეთ მკერდში.
აფუსფუსდება ახლა სამგზავროდ,
აიკრეფავს მძიმე მარმაშებს,

ამაღლდება თითის წვერებზე

და აფრინდება.

. . . . . .

თუმცა მე ვიცი,

ალიონზე დავხუჭავ თვალებს

და მთელი დღით გარდავიცვლები,

მათი ჯერია, ვინც დღისით ცოცხლობს...

უნდა გათენდეს!

1988

მთების დუმილი

(ფრაგმენტი ანამნეზიდან)

ვუძღვნი ფსიქიკურად დაავადებულებს

. . . . . .

რატომ ვარ გიჟი,

რატომ ამბობთ ჩემზე _ "აი, ეს!"

ნუთუ იმიტომ,

რომ ჩემს ცხოვრებას

ლოგიკის მძლავრი ღერძი აკლია,

რომელზეც უნდა ასხმულიყო

თანაბარ მძივად

ჩემი წლები და ნაბიჯები,

ფიქრები და

ცრემლები და

ღიმილები და

სხვა დანარჩენი _

ერთმანეთისგან გამომდინარე.

"გიჟოო, გიჟო!" _

უდროოდ და უადგილოდ მიიჩნევდნენ

ყოველთვის

ჩემს ხმას.

ვერასოდეს ვიმართლე თავი.
მეც გული მწყდება, ასეთი რომ ვარ.
ასეთად ყოფნას მოაქვს ჩემთვის
სასურველზე მეტი ტკივილი.
ვერ დავძლიე წყეული გარსი,
ვერ იქნა, ველარ შემოვიფხრიწე.
ვერ ვისწავლე ხელის გაწვდენა,
ნაბიჯის წადგმა.
მაგრამ რას ვიზამ _ ასეთი ვარ
და ჩემნაირის გამართლებაც შესაძლოა,
თუ მოისურვებთ.
რატომ ვარ გიჟი...
ნუთუ მართლა არ შეიძლება,
გატაცებით მღეროდე გულში
და მოთმინებით ელოდებოდე,
მთები ბანს როდის მოგაშველებენ...
მთელი ცხოვრება გულში ვმღერივარ
და ველოდები მთების მოძახილს;
მთები კი დუმან...
და მე მაკვირვებს
მათი დუმილი გასაოცარი.
ნუთუ შეშლილი უნდა დაგარქვან,
თუ არ გრცხვენია იმის გამხელის,
რომ გჯერა _ გულებს უნდა ესმოდეთ,
უნდა ესმოდეთ გულში ნამღერი.
რატომ ვარ გიჟი,

ასე რომ ვცხოვრობ?

მტკიცედ რომ მჯერა _

საკუთარ თავს არ უნდა გასცდე,

შენს თავს არ უნდა გადაეჩვიო _

იქნებ ამიტომ?

კარგი, მაგრამ თქვენ რას მირჩევდით,

ყველაფერი გამოგიფინოთ?

გადმოვალაგო, რა, ბაზარია?

ყოფნა იქნებ უკეთესია,

ან უარესი,

მაგრამ ბაზრად მაინც ნუ ვაქცევთ.

რომ იტყვი _ "ასე".

რომ ჰკითხავ _ "როგორ?"

რომ იტყვი _ "აი".

რომ ჰკითხავ _ "აბა?"

უკვე დახლია.

არ შემიძლია მე დახლთან დგომა,

ზოგჯერ წაგება, ზოგჯერ მოგება.

მე რაღაცით მართლა გჯობივართ _

ყოველთვის ვაგებ.

გჯობივართ-მეთქი, რომ გითხარით,

ხომ არ გეწყინათ?

არაფერი მითქვამს საწყენი _

წაგებაში გჯობივართ-მეთქი.

რატომ ვარ გიჟი...

რომ მიყვარს და გამოვძახი:

"მოდი, მსურხარ!
მოდი, მინდიხარ!"
ნუთუ ამიტომ?
თქვენი გულის გასახეთქად
სიყვარულშიც წაგებული ვარ.
მიჯნურობის დახლებში მდგარნი
საქმეს ჭკუით იგებენ ხოლმე:
მოკრძალებით, თმენით, სიჩუმით,
ზომიერი ჩურჩულების
                    გამოთვლილი მონაცვლეობით;
მე კი ვყვირი, როგორც ირემი,
და გჯობივართ _
                    წაგებული ვარ.
რატომ ვარ გიჟი...
ნუთუ იმიტომ,
შეძრწუნებული რომ გავურბივარ
                    მზრუნველთა ხელებს,
როცა ცდილობენ,
გაურკვევლობის გაუმჭვირვალი,
მშობლიური ნისლებიდან გამომათრიონ
და კაშკაშა მინდორზე დამდგან.
ვემუდარები, ხელი არ მახლონ;
არ მინდა ცხადში,
იქ შუქია,
ყველაფერი ხელისგულზეა
და ყველანი მშვენივრად ჩანან.

გაურკვევლობის ბინდებში მიჯობს _
ვიკარგები და თავს თამამად ვგრძნობ,
უფრო მშვიდად ვარ,
უფრო უსაფრთხოდ.
რატომ ვარ გიჟი...
ჩემი ნებით რომ ვიქციე საპყრობილედ
ჩემივე სახლი,
იქნებ ამიტომ?
მშვენიერია მარტოობა,
მაგრამ, ნუთუ მართლა გგონიათ,
რომ არასოდეს მენატრებით,
არასოდეს არ მინდა თქვენთან?
ზოგჯერ ხდება _ კედლებს ვაწყდები;
მენატრებით _ მე ხომ მიყვარხართ.
კარს გამოვაღებ, ზღურბლზე შევდგები,
მაგრამ ვერ ვბედავ გადმობიჯებას,
რადგან მაშინებთ.
ჩავისუნთქავ თქვენს ხმებს და ხალისს,
კარს ისევ ვხურავ,
ვდგები სარკმელთან
და პატრონისგან დასჯილი ლეკვის
მაინც ერთგული თვალებით გიმზერთ.
ნუთუ ჩემი ასეთად ყოფნა
მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია?
რად მეშინია, თქვენს შორის ჩამდგარს,
თქვენდამი რწმენა და სიყვარული

არ გამებზაროს;

ნუთუ მარტო ჩემი მიზეზით?

ვერასოდეს ვიმართლე თავი.

ნუ იტყვით ჩემზე:

"აი, აი, ეს!"

გიჟს ნუ მიწოდებთ მხოლოდ იმიტომ,

რომ ჩემს ცხოვრებას

ლოგიკის მძლავრი ღერძი აკლია,

რომ გაგეცალეთ და ჩავიკეტე,

რომ ვყვირი, ვყვირი ირემივით:

"მიყვარხარ, მოდი!"

... არა ვარ გიჟი, _

ასეთი ვარ!

მთელი ცხოვრება გულში ვმღერივარ

და ველოდები მთების მოძახილს.

მთები კი დუმან...

და მე მაკვირვებს

მათი დუმილი გასაოცარი.

. . . . . .

1993. 6 თებერვალი

ჭეჭეთობის ღამე

შეესივნენ ავსულები ღამის კიდობანს,
გადაჩხრიკეს, დახრეს, დაფერთხეს;
ვისაც უცეცხლოდ მოატანეს,
ურჩს და დაუცველს ვისაც წაასწრეს...
მე არ დავანთე დიდი კოცონი,
არ მოვიხმარე ცეცხლი ფარივით,
მე არ გავფრთხილდი,
                  რომ ვთქვა მართალი,
და შემამჩნიეს, რაღა თქმა უნდა,

და ჭეჭეთობა ღამეს გამთვალეს.

. . . . . .

გათვალული ვარ, განწირული ვარ,

არსად ჩანს, ვინაც უნდა მიშველოს;

იქით ქვეყანა _ დიდი და ბევრი,

აქეთ მე _ ერთი და უმნიშვნელო.

სიყვარულისთვის მედება ბრალი.

სად არის, ვინაც უნდა მიშველოს?

. . . . . .

ვაიმე, მთვარევ!

პოეტების კალმის წვერზე

იოლ-უბრალოდ წამოდებულო,

ძილგატეხილთა მოცლილ თვალებში ჩახორცებულო,

შეშლილთა ფიქრში ჩათესილო,

მომაკვდავთა ხარბი ფრჩხილებით ჩამოკორტნილო,

მარტოკაცთან ჩამომჯდარო მთვარევ,

ვაიმე...

. . . . . .

ჭეჭეთობა ღამე მთავრდება...

მე არ მენთო დიდი კოცონი,

მე არ მენთო ცეცხლი, საერთოდ.

სიყვარულისთვის მედება ბრალი...

როცა ვხედავ, რომ

დღემდე არავის მოშუშებია

უხსოვარ დროს ჩამოთლილი მხარე სხეულის,

და ეტანჯებათ წყლული ნახევრებს

გამთლიანების მწვავე სურვილით;
როცა მითხრეს, რომ
"უსიყვარულოდ მზეც არ სუფევს";
როცა სამყაროს უღრანებში _ ყველაზე მკვეთრად! _
სატრფოს ნაკვალევს ადევნებულთა
გულისფეთქვა და თქარუნი ისმის,
და ილეწება ვნების დოლაბქვეშ
წყარიშმაფას ძუძუები _
რიყის ქვებივით თბილი და სადა,
და გიჟია ოჩოკოჩი, გიჟი,
შეშლილია რიყის ქვებისგან...
როცა მწამს, რომ
სიყვარული _ მონობამდე ამაღლებული,
თვითონ ღმერთია
და არავის იუფროსებს...
გამაგებინეთ,
როგორ ვიქნები დამნაშავე ღმერთის წინაშე,
თუ სიყვარულთან მართალი ვარ.
და აშალეთ ყველა კანონიერი ლოგინი,
ერთი მისხალი გადარევაც თუკი აკლია,
აშალეთ და ჯანდაბაში გადაუძახეთ...
. . . . . .
რა მშვენიერი ქალია მთვარე,
ორი კვირით და ბინდით ვნებული,
რა მშვენიერი მხარეა მთვარე,
ღამისმთევლებით დასახლებული.

თუმცა მავანნი ავი ქირქილით
მხოლოდ ასტრალურ სხეულად ხმობენ,
მე მიხარია, როს მწუხრის ჭიშკარს
მასპინძელივით გამიღებს ხოლმე.
იმის ნათელში ვაპირებ საფლავს,
იმის ნათელში ბინა დავიდე...
დაე, გავიდეს იგი მოდიდან,
ოღონდ, ღამიდან არსად გავიდეს.
. . . . . .
ჭეჭეთობა ღამე მთავრდება
და აჩქარებს ბილიკს ავსული;
ტაბაკონიდან გადმომზირალ თავის მოძმეებს
შორით ახარბებს
და ამაყი სიფრთხილით მიაქვს
ბანჯგვლიან მკლავზე დაფენილი ნაალაფარი _
ჩემი სულის ცახცახა ნისლი,
და როკაპიც ტუჩებს ილოკავს.
ჭეჭეთობა ღამე მთავრდება...
. . . . . .
მე _ ჩემი ღმერთის მონა-მხევალი,
ჩემივე სისხლის ფარჩით ვირთვები;
წყვილი ლოდივით მინგრევს ხერხემალს
პოეტისა და ქალის ტვირთები.
გათვალული ვარ, შემჩნეული ვარ,
არსად ჩანს, ვინაც უნდა მიშველოს;
იქით ქვეყანა _ დიდი და ბევრი,

აქეთ მე _ ერთი და უმნიშვნელო.
ისინი _ ერთად, მე _ სიყვარულთან.
სად არის, ვინაც უნდა მიშველოს!
. . . . . .
ჭეჭეთობა ღამე მთავრდება...
მე არ მენთო ცეცხლი ფარივით,
არ მებნია თმაში სანთელი,
და ჩქარა!
დამაჯერეთ, რომ სიყვარული ღმერთი არ არის;
სხვანაირად
თქვენი რწმენის ჩარჩოებში
ვერ შემოგყვებით.
. . . . . .
იჩქარეთ, თორემ უკვე თენდება,
სადღაც რიჟრაჟის ლაქა ციალებს,
მირბის ავსული და ჩემს სულს _ ნადავლს,
ყიჟინ-ყიჟინით მიაფრიალებს.
იმას ჰგონია, უკვე გადაწყდა,
და მართალს, მაგრამ სიმცირით დაღლილს,
ერთადერთობით წაგებულ სახელს
ამომიშანთავს ცოდვილის დამღით.
სამყაროვ! ასე დიდო და ბევრო,
გამომესარჩლე, წამოიმართე,
რადგან ქვეყნად ხომ ისიც არსებობს _
უმცირესობის დიდი სიმართლე.
იჩქარეთ! მე ხომ თქვენი უფრო ვარ,

იმათ ნუ მიმცემთ, ნუ დამამონებთ;

ან დამარწმუნეთ თქვენს კანონებში,

ან ჩემი რწმენით დამაკანონეთ.

ჩქარა!..

წამოდგა ბერი როკაპი,

ზეცა ბოროტი მზერით მონისლა;

ჩამოდნა ღამე კოცონის თავზე,

ჩამოლპა მთვარე ტაბაკონისა,

და ვაიმე, მთვარევ..

მე...

მე ჭეჭეთობა ღამეს დამღუპეს.

1994. 14 აგვისტო

***

დაბადებამდე დამიდეს ზღვარი,
დაბადებიდან ვაწვალებ სათქმელს,
და ბრმა ლეკვივით ვეფათურები
სულის ფსკერსა და სხეულის სარქველს.

უნდა გავცილდე და გავაღწიო,
უნდა ვიპოვო რაღაც მესამე,
თორემ ვის უნდა სული და ხორცი,
ზამთრის მთვარესთან მონათესავე.

მე მაინც მომაქვს, რაც გამაჩნია,
მანდ მორჩეს ჩემი მიმქრალი სოლო;
სხვამ იქნებ კიდევ მონახოს რამე,
მე კი
სული და ხორცი მაქვს მხოლოდ.

თუ მიშველიან,
გაფითრებული თქვენი ლექსები,
                    დაღლილნი ასე,
და თქვენი სახე, ისიც დაღლილი,
რაღაცნაირი თვალებით სავსე.

მასწავლეთ,

როგორ ვიქცე ზვარაკად,

შესაწირავი რაა მესამე...

თორემ ვის უნდა სული და ხორცი,

დაფლეთილ ნისლთან მონათესავე.

198 .

მარტის ჩვიდმეტი

მე მიყვარს მხოლოდ მარტის ჩვიდმეტი,
მარტის დანარჩენს ვთხოვ, მაპატიოს,
რომ მოფართხალე დღეების გუნდში
მხოლოდ ეს ერთი გამოვარჩიე.

ისე შორია გაზაფხულამდე,
ისე შორია, მიხვედრა მიჭირს,
რა ძალამ უნდა წამოაფრინოს
თებერვლის ფსკერზე მთვლემარე კვირტი.

ქვესკნელებიდან მოიწევს რაღაც,
მოიყოლიებს მწვანე იარებს,
და გაზაფხულის დღენაკლულ სხეულს
ბუნება მარტში იმშობიარებს.

ბედნიერებმა და ძლიერებმა
იტვირთონ იგი, ჩემთვის რთულია;
უკვე მიყვარდა...
და ყველაფერი
ჩავლილია და დაკარგულია.

ბევრს ვეღარავის ვერ დავპირდები,

სულში ამდენი როგორ დავტიო;

... და მიყვარს მხოლოდ მარტის ჩვიდმეტი,

მარტის დანარჩენს ვთხოვ, მაპატიოს.

1987. 15 იანვარი

საით?

განაჩენი რომ გამოუცხადეს,
იკითხა _ "საით?"
თავისი ფეხით მივიდა კუნძთან,
თავისი ნებით დადო თავი,
თავისი ხელით
კისრიდან თმა გადაიწია...
განა იმიტომ,
რომ გონზე არ იყო,
განა იმიტომ,
რომ მორჩილება ხერხი იყო
ვინმეს გულის აჩუყებისა,
განა იმიტომ,
რომ სიცოცხლე აღარ უნდოდა,
განა იმიტომ,
რომ სიამაყის მონა იყო...
.... იკითხა _ "საით?"

1995. ნოემბერი

ვინ რას მივიტანთ...

რაც შეთხზულია უფლის წიაღში,

ვერ გავექცევით ვერასდიდებით.
მივდივართ...
ყველა საკუთარ ჩონჩხს და
საკუთარ ცრემლებს მივეზიდებით.

მივდივართ...
თუ რამ ყვაოდა ჩვენში,
ამ ხეტიალში უკვე გადახმა;
ვინ რას მივიტანთ,
ვის რა მიგვყვება
მოლანდებული საზღვრის გადაღმა.

ვისაც გვიყვარდა და ცეცხლი გვერგო,
ვინც გზას და კოცონს შემოვრჩით ერთი,
მივიტანთ ნაცარს და დავასვენებთ
ჩაფიქრებული მაცხოვრის ფერხთით.

ვისაც ამგვარად არ ჰყვარებია,
უქმად ახელილ თვალებს დახრიან,
მივლენ და ყოფნის დიად საზღვარზე
აბალახებულ გულებს დაყრიან.

თავს რით ვიმართლებთ,
შენდობის ღირსი
რა მიგვაქვს, ვის რა მოგვაგონდება...
ათასნაირი მიღელავს მგზავრი,

ათასნაირი ისმის გოდება.

მივდივართ...
ქრება ნაფეხურები,
წალეკილია გზები ბინდებით;
მარტოობის და ტრფობის ეკლებზე
დაძენძილ სულებს მივეზიდებით.

1989. 1 ივლისი

ცრემლი სამყაროს ღაწვზე

ბორენა ჯაჭვლიანს

ის მეტისმეტად ქალი იყო
და შეეხეტა სიყვარულში.
აბა, ვინ იტყვის,

რომ ეს დიდი შეცდომა იყო,

ან გზის აბნევა.

ის, უბრალოდ, ცაში ჩავარდა

და მიწაზე ჩაბობღება

აღარ შეეძლო.

ქალი იყო

და თავის ჯვარს შეუდგა მხრები,

ქალი იყო

და თავისი ქვეყანა ნახა.

ჰგავდა წვიმას;

მართალია, საკუთარი თავით დაღლილს

და ფანჯარაზე თავმიდებულს,

მაგრამ მაინც ხომ წვიმას ჰგავდა,

და ქოლგები გაშალეს ირგვლივ...

ტიროდა მთვარისათვის.

არც საყვედური,

არც სხვა _ წუწუნი.

დროდადრო სული ერწყობოდა

შვების ლექსებად,

მერე თვლემდა,

ძალას იკრებდა,

სანამ ტკივილი ისევ დაკბენდა,

წამოაგდებდა

და ქვასავით მძიმე კალამს მისცემდა

ხელში.

ვამბობდი ხოლმე:

ტკივილებს შორის დაამებავ,
ტკბილო, ნეტარო,
მაგ ქალს ცოტა ხნით გაუხანგრძლივდი,
რომ არ მობეზრდეთ მშვენიერ თვალებს
ასე დიდხანს,
ასე ნამდვილად,
ასე ხშირად და ბუნებრივად
ტირილი მთვარის მიმართულებით,
და არასოდეს გამოილიოს
სამყაროს ღაწვზე
ცრემლი _ ჰიმნი სიყვარულისა...
არა, არა,
რა შეცდომა,
რა გზის აბნევა,
ის ქალი იყო და, უბრალოდ,
სიყვარულში შეეხეტა.
იქ კი, როგორც მოგეხსენებათ,
სინათლეები არ არსებობს,
ხელისცეცებით უნდა იარო,
ბედნიერება კი არ არის,
სიყვარულია _
საწუხარი და სამგლოვიარო.
. . . . . .
ხანგრძლივი, მძიმე სიყვარულის შემდეგ
გარდაიცვალა...

1992. 25 ოქტომბერი

თამაში

_ დედა, წავიდე ბებოსთან?

_ წადი.

_ დავრჩე ამაღამ?

_ დარჩი.

დარჩიო!!

თუ არ არსებობს ბედნიერება,

მაშინ იმ წამს რა უნდა ერქვას?

თუ სამოთხე აქაური არ არსებობს,

მაშ, რაღაა ბებიის სახლი?

წამოვკრიფე
თოჯინა და
აკვანი და
აკვნის რამერუმეები
და გავფრინდი ზევითუბანში.
ის აკვანი ჩემი ხელით გამოვჩორკნე.
უშოვნელობა თუ იყო, თორემ
გულს არ დამწყვეტდნენ,
დურგლობამდე საქმე, ალბათ, არ მივიდოდა.
გამომივიდა ნახელავი _
ირწეოდა... იდგა... დამქონდა...
აკვნობას სწევდა;
არ დაშლილა, გამოგვზარდა
მე და ჩემი პატარა "კუკლა".
კიდევ კარგი, გამოვჩორკნე,
ხომ ვეღარ ვიტყვი,
აკვანთან არ ვმჯდარვარ-მეთქი...
უიმედოდ გადაბრტყელებულ
ჩითის მკერდზე
მივიკრავდი ჩემს პატარას,
ვაწოვებდი და ვუგურგურებდი.
დაუბანელს არ ჩავაწვენდი;
გაკრიალებულს, გამშრალებულს,
უკვე სააკვნედ გამზადებულს,
ქათმის სკინტლსაც ამოვცხებდი ერთ ალაგას _
თავისით ის არ ჩაისვრიდა

და ისე კიდე
რაღა ბავშვი იქნებოდა!
მერე ხომ უნდა მებუზღუნა _
მომკლა ამდენმა სარეცხმა-მეთქი.
კიდევ კარგი, ეს მოვიფიქრე;
ხომ ვეღარ ვიტყვი,
რომ ჩვილისები არ მირეცხია...
ისეთებიც არიან თქვენში? _
ვინც იკადრებს, ნიშნი მომიგოს _
ქათმის სკინტლიანს რეცხავდიო!
ბავშვობის მადლით და სასწაულით
და გრძნეულებით,
და წარმოსახვის განამდვილების
ღვთიური ნიჭით
მე მაშინ მართლა დედა ვიყავი
და შვილი მართლა ჩასვრილი იყო.
... მაინც რამდენი ვითამაშე
დედაშვილობანა,
რა გატაცებით, თავდაჯერებით, უშეღავათოდ.
იცოდა ღმერთმა _
უფრო დედა, ვიდრე მაშინ,
არასოდეს რომ არ უნდა ვყოფილიყავი.
იცოდა, რომ,
მერეც და მერეც,
რეალობას წარმოსახვებით
არაერთხელ ჩამინაცვლებდა.

იცოდა ღმერთმა,
რისთვის უნდა ვემზადებინე,
როგორი შემქმნა _
არარსებულით ისე მძაფრად უნდა მეცხოვრა,
რასაც მრავალნი
არსებულით ვერ ახერხებენ.
იცის ღმერთმა _
ვისაც ნამდვილი წყალი სჭირდება
დასარწყულებლად,
თუნდ უგემური, ოღონდ ნამდვილი,
ხელშესახები, ჩასაყლურწი,
იმას ნამდვილ წყალს ჩაუსხამს პეშვში.
... ასფურცელა ქადასავით
დამძიმდა და დატკბა წარსული;
შემიჩვია,
გემრიელ თითებს მალოკინებს.
ტანი გაივსო, ფუვდება, ფუის;
მომიახლოვდა, დამიახლოვდა,
ლამის არის,
აწმყო კი არა,
ხვალეებიც გადამიფაროს.
ხომ ასე იცის _
სადაც ცარიელ ადგილს ნახავს,
ყველგან უნდა დაიდგას ტახტი.
ვერ შევაჩერებ _
თაფლის სურნელიც იქიდან მოდის,

მწარე გემოს ვითომ წამალი.

რად შევაჩერო? _

იქ ერთი კნაჭა გოგო თამაშობს;

ვუმზერ ღიმილით, დაჟინებით.

ვერ შემამჩნევს,

ის ხომ არც მიცნობს;

ან სად სცალია მომავლისკენ გამოსახედად!

მე ვიცი, რომ თამაშობს,

თვითონ არ იცის.

როცა ამას მიხვდება,

უკვე მე იქნება და არა ის.

სინათლით მავსებს ბავშვის თამაში:

აი, უმწიფარ ჩითის მკერდზე

მიიკრა თოჯინა _ აჭმევს...

აი, აკვანი, არტახიან-ყველაფრიანა...

აი, აბანებს...

აი, ჭერმის ტოტს შეამტვრია წკირი,

ნაწვიმარს,

ქათმის სკინტლში ამოურია,

თოჯინას წასცხო,

რომ სავიშვიშო გაიჩინოს,

ხელი ნამდვილ სარეცხში ჩაყოს...

ნეტარი ბავშვი! _

თვითონ იმზადებს ილუზიას,

რომელიც იქვე

სინამდვილედ გადაუდნება...

თამაშობს ბავშვი,
მთელი ცხოვრების სამყოფს თამაშობს.

2002. 6 ოქტომბერი

ჯდა მტირალი

რაის უცხო... ჩემო სისხლო,
შენზე ყველაფერი ვიცი;
შენ არც ავთანდილის ძმა ხარ,
არც ფრიდონის ძმადნაფიცი.

აღარც ხერხი, აღარც ღონე,
არა სვე და არა ბედი;
თან ზიხარ და ცრემლს აგორებ,
თითქოს მთელი არაბეთი

შენს საშველად დასცემოდეს
ციხესა და ციხის ლიბოს, –
რომ დაამხოს საქაჯეთი,
გადასხლას და გადასხიპოს.

თითქოს ვეფხის ტყავი გეცვას,
თითქოს ნეკით ჭიდაობდე,
თითქოს გესხას მარგალიტი
შავი ცხენის ჯიდაოზე...

შენ ტირილი არ გიხდება,

ნაცემო და ყოვლის მთმენო;
ვეფხვებს უნდა ერეოდე,
ტირილი რომ დაიმშვენო.

არ გიხდება შენ ტირილი,
განა ავთანდილის ძმა ხარ!
ვინ გადადებს ქორწილს შენთვის...
ვინ შეიშლის სადილ-სამხარს...

მოფრიალებს დილეგიდან
სახსოვარი თავმანდილი...
შენი თავის მოყმეც შენ ხარ,
ფრიდონიც და ავთანდილიც.

მკლავნი გაიმამაცურე, –
გეხვეოდეს ირგვლივ ჯარი;
შენვე უნდა გამოძერწო
შენი ნესტან-დარეჯანი!

მზე ბერწია უნესტანოდ,
და სამზეო ჩირად ღირსა;
. . . . . .

ჯდა მტირალი... ჯდა მტირალი...
ჯდა მტირალი წყლისა პირსა...

2006. 5-11 ივლისი

კომბლეს

მე შენი რაღა მჯეროდეს,
სულ ტყუილები გიცხვია;
თუ მართლა თლიდი იმ ოხრებს,
თუ მართლა სხვენში გიწყვია, –

რაღა შავ ქვად და ჯანდაბად!
ან რა უფლებას თხოულობ;
ხომ ხედავ, – უკვე დაღამდა,
სამშობლოს ვეღარ მპოულობ.

მგელი და დათვი შეყარე,
კითხვა-პასუხის ჟამია:
– შენ შემიჭამე სამშობლო?
შენ ხომ არ შეგიჭამია!

სამასი ვერცხლის ჩხრიალში
ბალღმა დედის რძეს უგანა:
დგანან და აფერადებენ
ხელისუფლების... უკანალს.

ვაჰ, ბედის უკუღმართობას!

ვაჰ, ბედის არაკობას! –
ჩემი სულ-ხორცის მჭამელი
აქეთ გიღერებს კომბალს.

თუ მართლა სხვენში გიწყვია,
თუ მართლა სხვენში აწყობდი,
მოიტა!! თორემ, შემთქვლიფეს
წარსულიდან და აწმყომდი.

მგელი და დათვი გაკრიჭე,
კითხვა-პასუხის ჟამია:
– აბა, კბილები დაკრიჭე!
შენ ხომ არ შეგიჭამია!

... წესისთვის, თორემ, რად უნდა
ამას ფიცი და მტკიცი;
შენ არაფერი გეშლება,
ვინც შეგიჭამა, – იცი...

2006. 5-9 ივლისი

აჰა, სარკე!

აჰა, ხმალი! აჰა, სიტყვა,
ლოცვანი და საჭრეთელი!
მაგრამ, ყოვლის უწინარეს,
აჰა, სარკე საჭვრეტელი!

ბეჩავო და თავმოჭრილო,
ყველას წიხლით გასათელო,
საქართველო, შე მშიშარა!
შე მძინარა საქართველო!

დალპი მხარ-თეძოზე გდებით,
წყლულებიდან ჩირქი გდისა;
გახსოვს მაინც?! – როდის გქონდა
მუხლი მგლის და შავარდნისა...

გახსოვს მაინც?! – ხის აბჯარში
რკინის გული გიფეთქავდა...
გახსოვს?! – ხმალი – ჯავარდენი...
გახსოვს?! – ლურჯა ლაგამს ხრავდა...

მტრის მახვილზე გადალეწილს
ზიარებაც არ უნდაო...
უწურთნელო! ეს შენა ხარ?! –

ყველა გიჟის საგუნდაო.

იმ ქორებულ თვალებს ვნატრობ,
იმ შორეულ ცეცხლზე ვთბები;
შენი სიყვარულის პატრონს
რა სინდისით მეღუპები!

შე სამშობლოს მინამგვანო,
აღარც მხნევ და აღარც მრთელო;
გასკდა გული! რა გაძინებს!
გაიღვიძე, საქართველო!

გაიღვიძე, – ასწი ბეჭი!
აჰა, გული! აჰა, სარკე!
.. და ტაატით გაჰყე ბილიკს
საკუთარი თავისაკენ.

2006. 29 მარტი

„გიჟი ქალაქს მიდიოდა”

ციკლიდან „კახურები”

გიჟი ქალაქს მიდიოდა...
ტანით – ბრგეს და ჭკუით – ქონდარს,
ვერ ხვდებოდა შინ პატრონი,
რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა...

განა შიგადაშიგ გიჟი,
ხანდახან და ალაგ-ალაგ!
კაი ჯილა, სტაბილური
გიჟი მიდიოდა ქალაქს.

ეს სარითმო წყვილი მომწონს:
„მიდიოდა” – „დიდი ოდა”.
არაფრისთვის... ისე... ხოშზე, –
გიჟი ქალაქს მიდიოდა.

ხან – კიევი, ხან – დავოსი,
ხან რომი და ხან – პარიჟი;
რა მიჰქონდა... რა მოჰქონდა...
მიდიოდა ქალაქს გიჟი.

მალავს, თორემ, სხვასაც კი ჰყავს
თითოცა და შვიდიოდეც;
რა ძნელია, შენი გიჟი
სულ სადღაცას მიდიოდეს.

ფრთხილად, გიჟის პატრონებო! –
იქნებ, იგიჟიანებს!
ისე არ ქნათ, ეს ქვეყანა
თავს დაგამხოთ ჭკვიანებს.

სულ რაღაცა იკარგება
ბითუმად და საცალოდ;
ისე არ ქნათ, ეზო-კარიც
ფეხქვეშ გამოგაცალოთ.

ერთი, კარგად გამოჰკითხე,
როცა დაიმარტოვო.
ემანდ, რამე არ მიჰქონდეს!
ფრთხილად, გიჟის პატრონო!

მალავს, თორემ, სხვასაც კი ჰყავს
თითოცა და შვიდიოდეც;
რა ძნელია, გყავდეს გიჟი...
რა ძნელია, მიდიოდეს...

2006. 26 მარტი

პამპრაძეები

ირემი – ირემს:
„თუ კი პამპრაძე მამკვდარა,
მაშ, თოფი ვიდამ გვახალა?”
(ხალხური)

აკი, მორჩა მიზეზი
ჭირთა ათასგვართაო, –
აკი, მოკვდა პამპრაძე,
აკი, გადავარდაო...

შენ განსაჯე, უფალო,
და დიდება შენდაო!
ეს რამდენი სისხლი მდის, –
აკი, გადაშენდაო...

თუ პამპრაძეც დამთავრდა
და პამპრაძის ბახალაც,
იქ, კორტებთან, უბრალოს,
ტყვია ვინ დამახალა!

ასე დაგემოვნებით,

ასე თამაშ-თამაშით,
სული ვინ ამომხადა
მართალს, ოქროყანაში!

დედის კენტი სანთელი,
დანთებული იმედად,
ეკლესიის მადლის წინ
ასე ვინ გამიმეტა!

მხარზე ეშმაკს ვინ ისვამს
ოქროს ერთი მისხლისთვის;
თუ პამპრაძე მამკვდარა,
ე რამდენი სისხლი მდის...

ჩემო თვალის სინათლევ,
ჩემო კარგო მამულო,
რაზედ მოგილხენია!
რა გაქვს სამხიარულო! –

ჩამომპალა ყვავილი
შავი გემის აფრაზე;
მშვიდად მიღებს მიზანში
შენი მკვლელი პამპრაძე...

შენ განსაჯე, უფალო,
და დიდება შენდაო!
ჩემი სისხლის მპარავი,
ჩვენი ამომბზარავი,
აკი, გადაშენდაო!

გვარშეცვლილი პამპრაძე,
ოქროს ერთი მისხლისთვის,
გულში იკრავს სატანას...
ეს რამდენი სისხლი მდის...
ეს რამდენი სისხლი მდის...

2007. 31 აგვისტო

ჩაის... ვარდი...

2003

(ოლოლო შენ!)

ციკლიდან „კახურები”

„არ მეგონა, გორის ციხე
საგორავად გახდებოდა,
ლაშქარშია თეთრი ცხენი
საგოგავად გახდებოდა,
ჩემ უარეს ჩემი სწორი
ასე გამილაღდებოდა”...
. . . . . .
კაბინეტში, სახლში, გზაში,
ხვრიტა, ხვრიტა, ხვრიტა, ხვრიტა...
სვა და ხვრიპა მწვანე ჩაი, –
მწვანე ჩაი გააჰიტა.

ჩაი აქა, ჩაი იქა,
ბუხრი უკან, ბუხრი წინ, –
ხელში ეპყრა “სიბრძნის ჭიქა”,
ვერცხლის ატრიბუტიკით.

აქაოდა, ესა სვამსო, –
შეიყვარეს მწვანე ჩა...

ამოდენა მწვანე ჩამ
ერი გამო-ალენ-ჩა.

... ჩა დაწვა და ვარდი შობა,
ვარდონანინაო,
ბიჭმა გუდას მახათი ჰკრა,
ვარდონანინაო,
სცენას ბუღი აადინა,
ვარდონანინაო,
„ინძღი-ბინძღი" დაიძახა,
ვარდონანინაო...
ყველაფერი ისე იყო,
როგორც სურდათ ტერტეროზებს:
გმირი ტახტზე გაიბადრა,
ხალხი – ტყემლის კენწეროზე.

ცხრა ძმისა და თხილის მითი
რა სარწმუნო რამე ჩანს:
უპრობლემოდ განაწილდა
ერთი ჭიქა მწვანე ჩა.

თანამესამშობლოენო!
ჩხუბიცა და კამათიც,
რა ადვილად გჯერათ ხოლმე
ცოლ-ქმრისაც და ამათიც.

სანამ გამოარჩევდით
ბუზებისგან ჩამიჩებს,
ხელდახელ და ჩა-და-ჩა

რაცხა გაგიჩალიჩეს...

გაიფურჩქნა ჩაის ვარდი,
დატრიალდა ჩაიხანა...
ბირდაბირ და გარდიგარდმო
გმირმა ცხვირი დაიფხანა.

ბანაკს იქით, ბანაკს აქეთ,
ბუჩქი უკან, ბუჩქი წინ, –
მიდის ცხვირთა მიმოქექვა
მწირი ატრიბუტიკით.

ქალებ ჭრელ-ჭრელ კაბები სცვავ,
ცხრა-ღილა და სამ-რუშაო;
ლიკანსა და გუდაურში
გასვლები აქვთ სამ(რ)უშაო.

... ოლოლო შენ, საქართველოვ! –
შეჭმულია უკვე მინდი;
ქართულ მიწას აკანკალებს,
დიიდი მ(რ)უშაობა მიდის...
. . . . . .
„შენი ჭირიმე, ბაქარო,
თაფლო ტკბილო და შაქარო,
ჩვენ აშენებულ მამულზე
ვინ უნდა დაასახლკარო"...

2007. აგვისტო

სინჯარა 2006

(დიდი კაცის სტუმრობაო...)

დგახარ და ეხინკლავები
მოყვრად შემომძვრალ იქედნეს;
ვის დაკარგვიხარ! – უბრალოდ,
კოლბაში ჩამოიხედეს.

ბედნიერი ხარ, თუ გიქეს
დედას პური და ხვანჭკარა;
იმან, – დაგხედა, უბრალოდ,
სინჯარა შეაჭანჭყარა...

ვაი, დაკლულო მამულო,
ოთხი ლურსმანი გარჭვია, –
რაღა ნოტიო ბაყაყი,
რაღა თაგვი და ბაჭია.

რა ძალისძალად გაძღობენ
გობში ჩაყრილი იელით;
ნუ შეჭამ! – გაიხარებენ
მტერი და გადაზღვიელი.

მისატირებელი:

სინჯარა საქართველოა,
ცდისპირი ჩვენ ვართ ყველაო;
აღარც რო ტურფა მდელოა,
აღარც რო დელი-დელაო;
შევუხმამწაროთ ერთმანეთს:
ვაჰმე, როგორა ბნელაო...

2006. 5-9 ივლისი

ჩაკრულო

გადაფურცლე, გადმოფურცლე,
მგლების თავზე სახარება;
თან გიკვირდეს: ვეღარა ვზრდი
საფურეს და სახარესა!

რას გაზრდიდი... დეკეული –
საფურეც და სახარეც, –
ფაფუ! ბატონს ჰყვარებია!
სულ ხაშლამად ჩაყარეს...

რად არ მოეპატრონები
სახარეს და საფურეს,
ან გუთანს და ან ღირღიტას,
ან პურსა და საპურეს...

ცარიელა სიმღერა ხარ,
ცარიელა ლექსები;
მიყვარხარ და როგორიც ხარ,
ეგეთს გეალერსები,

მაგრამ, ჩემო გემრიელო,
თუ დამირჩი უხაროდ,
როგორ გინდა, ხვალე კაჭაჭს
ძირი გამოუთხარო,

ან გოდრებით ფქვილი დადგა,

ბზე მიჰქონდეს ნიავსა...
სულ სათესლე ხორბალს ფქვავენ
მუხრან-ბატონიანსა.

“გავიხედე სერზედაო,
ბატონი ზის ცხენზედაო,
წინ მეძებრები მოუდის,
დაგეშილი ჩემზედაო.“

მარტო მარანში ნუ გახსოვს,
რომ ჩაუჯდები საფერავს, –
ხევსურეთს გამოჭედილი
თელავში თუშმა დაფერა.

მუხრან-ბატონთან აფრინე
ლექსიც და მრავალწერტილიც:
თელავში თუშმა დაფერა
ხევსურეთს გამოჭედილი...

2008. 9 თებერვალი

ნაწვიმარზე ... სოკოსავით ...

ციკლიდან „კახურები”

მაინც, რა ნავსად იწვიმა, –
ეს ამოდენა ბრიყვი
ისე ამოსხა მიწიდან,
როგორც ქამა და ნიყვი.

ნაწვიმარზე სოკო, – მესმის;
ჰოი, ბედისწერანი! –
ნაწვიმარზე სოკოსავით
ამოსული... მწერალი?!

რა სარფიანად დასველდით!
რა თქვენდა ბედად გაწვიმდა!
რა უცებ წამოაჩოქეთ
მიუწვდომელი მთაწმინდა!

ცერზე გაწვრთნილი ჟიური
სულ ცისფრად ააღაღანეთ...
აფსუს! რა წვიმა გაფუჭდა! –
სავენახე და საყანე.

წვიმდა ბნელში და ბნელიდან...
რევოლუციით ცხებული,
შერჩა მწერლობას „ელიტა”,
წვიმაში ჩასველებული.

2006

... არადა...

ციკლიდან „კახურები”

რამდენი სულელს ვახსენებ,
იმდენი დაასლოკინებ;
კახელი მე ვარ, არადა:
მე – ვგალობ,
შენა – ყროყინებ.

2005

გვიან ავწონე

ბაღში კი არა, ძეძვის ნაწოლზე
დავღალე, თურმე, დარდის ჩიტები...
მე ღორის დინგიც გვიან ავწონე
და საკუთარი მარგალიტებიც.

2006. 2 აპრილი

„სიკვდილმა ჩამაიარა”

შენ რომ შავ მათრახს დაიქნევ,
ყველას თავს დაახრევინებ,
ძველს გადაუგდებ კალაპოტს,
სულ ახლებს გაათხრევინებ.
უცებ მოაცლი მოუცლელს,
ამინდს არ აარჩევინებ,
დაძრავ მთელ სანათესაოს,
ყვავილებს დააჭერინებ.
დამდურებულებს დაატკბობ, –
ნეკზე ნეკს დაახვევინებ.
ძუნწებსაც მუჭებს დაუხსნი, –
ჯიბეზე გააკვრევინებ.
ბრიყვს გააფილოსოფოსებ,
ფიქრს ფიქრში ჩააწებინებ.
ყველაზე უჟმურ ოჯახსაც
კარს ფართოდ გაახსნევინებ,
მიუსევ ჭორის გველგესლას,
ენაზე დაახვევინებ,
რას ამბობს ჭირისუფალი, –
სულ წვრილად გაარჩევინებ,
ააწონინებ ცრემლებსაც,
გულდაგულ დაათვლევინებ.
შენ რომ შავ მათრახს დაიქნევ,
ყველას თავს დაახრევინებ;
უცებ აავსებ უქონელს,
ხორაგსაც დააყრევინებ,

გაადიდკაცებ ერთი დღით, –
წესს კი არ აარევინებ;
მთელ სამეზობლოს დაახვევ,
სულ ცეცხლებს გააყრევინებ,
უცებ – დასხამ და ატირებ,
უცებ – ბრინჯს დაარჩევინებ.
ქალებს ჭრელ კაბებს დაუჭკნობ, –
დახდი და დააკეცინებ,
უცებ გაუჩენ საკერავს, –
შავ ჩითებს დაახევინებ.
ხეს შეიგულებ ხელდახელ, –
კენწეროს დაარხევინებ,
უცებ – დასცემ და გაწალდავ,
უცებვე დაახერხინებ.
უცებ გაგზავნი კაცებსაც, –
მიწას პირს გაახსნევინებ...
ბოლოს, დაგვსხამ და დაგვცინებ,–
უარს არ გაგვაბედინებ:
ბოღმისგან შეკრულ კრიჭაში
ლუკმასაც ჩაგვაცდენინებ,
ხელს – სიმწრით დაკრულს კუბოზე,
ღვინისკენ წაგვაღებინებ.

2006. 28 მარტი

ადამიანო!

ჰოო, ტვირთია ცხოვრება,
მაგრამ, ნუ გაკრთობს ის შენ;
ჩვენც კაი სახედრები ვართ, –
ესე იტყოდა ნიცშე.

სხვა არჩევანი არც უჩანს
ცხოვრებას, გარდა ცხოვრების;
მძიმეა, მძიმე, მაგრამ,
არც შენ ხარ ცოტას მომრევი.

ვერაფერს დამისახელებ, –
(ნიცშე განაგრძობს ხარხარს), –
შენ რომ ვერ წამოიკიდო;
ადამიანო, ქვა ხარ...

პირზე ღიმილით განაგრძე
სიკვდილ-სიცოცხლის ფლირტი;
თუმცა, ტვირთია ცხოვრება,
თუმცა, მძიმეა ტვირთი, –

ქარავანს ადევნებული
ნაბიჯ-ნაბიჯ და მხარიმხარ, –
არც შენ ხარ ველის შროშანი,
შენც კაი სახედარი ხარ.

2007. 29 ივლისი

ნაჩუქარი პიანინოსავით...

სიცოცხლეც, ნაჩუქარი პიანინოსავით,
ხათაბალა ასაწევია,
ხათაბალა გადასატანი.
თან საჩუქარია,
თან უნდა გამოისყიდო;
პიანინოსგან განსხვავებით,
თან – უარიც აკრძალულია...
და მიდის ვიღაც, –
სტვენით მიჰყვება საკუთარ თავს,
ხელმსუბუქად;
რატომაც არა! იმის წასაღებს
სულ ციმციმ და მაღლა-მაღლა მიეზიდება
ათასი ვინმე მეკურტნე და
მეშეღავათე...
და მიდის ვიღაც, –
წიწაკასთან დარგული ბედით;
ერთხელ ნიკაპი ვერ შეუმართავს,
ერთხელ შვებით ვერ გადაწოლილა...
მჩუქებელო,
მხოლოდ შენ უწყი:
რატომ ღლის ხოლმე იმ პირველსაც,
ბოლოს და ბოლოს,
სხვისი ზურგით ნათრევი ტვირთი;
იმ მეორეს კი, ბეჭდოლაბიანს, –
არჩევანზეც მიუდგეს საქმე, –
ყოფნა ერქვას და,

იმისთანაც რად არ ეთმობა!
... რა ვიცი, ცოდვას არ ვჩადიოდეთ,
მაშინვე რომ დედინაცვლობას დავწამებთ ხოლმე,
როგორც კი გვატკენს წუთისოფელი.
რა ვიცი, იქნებ, დედაც არის,
ოღონდ, ასეთი, –
უცნაური, ჟინიანად მოსიყვარულე,
ალერსიც კი
ჩქმეტა-ჩქმეტით რომ ეხერხება.

2008. 10 თებერვალი

შორიდან

კარიც რომ გადამოწმებულია,
გაზქურაც და ონკანებიც;
ჩემებთანაც რომ დავრეკე და
კარგად არიან;
ფარდაც რომ ჩამოფარებულია და
ჭუჭრუტანებიც ჩამოუქმებულია და
ცალმთვარა ღამე იმ ცალ მთვარეს
ნაჯახივით ვეღარ დაასობს
და შუაზე ვერ გადამიპობს
ერთ ოთახ წყვდიადს;
ბალღივით ტიკტიკა კედლის საათიც რომ
მოშლილა და დაბრძენებულა
და მდუმარებს ოქროს დუმილით
და წიკწიკის საკეპელაში ვეღარ აქუცმაცებს
და ქვიშასავით წკაპაწკუპით ვეღარ გააქვს
ერთი ოთახი დრო და სიჩუმე
(ქუჩის ძაღლებიც
ხანდახან თუ ატყდებიან,
ყოველთვის ხომ არ ღავღავებენ);
ბალიშიც რომ
ჩემს მკლავსა და ლოყას შორის
ჩემს გემოზეა, –
რაღა მიშლის!
უფასოდ და გაურჯელად,
საითაც მინდა, გავემგზავრები.
თბილად მოჩითულ ლოგინში ჩამტკბარს,
არც შუაგზაში გამიავდრდება,
ჭუჭრუტანებიც ჩამოუქმებულია და

ცალმთვარა ღამე იმ ცალ მთვარეს
ნაჯახივით ვეღარ დაასობს
და შუაზე ვერ გადამიპობს
ერთ ოთახ წყვდიადს;
ბალღივით ტიკტიკა კედლის საათიც რომ
მოშლილა და დაბრძენებულა
და მდუმარებს ოქროს დუმილით
და წიკწიკის საკეპელაში ვეღარ აქუცმაცებს
და ქვიშასავით წკაპაწკუპით ვეღარ გააქვს
ერთი ოთახი დრო და სიჩუმე
(ქუჩის ძაღლებიც
ხანდახან თუ ატყდებიან,
ყოველთვის ხომ არ ღავღავებენ);
ბალიშიც რომ
ჩემს მკლავსა და ლოყას შორის
ჩემს გემოზეა, –
რაღა მიშლის!
უფასოდ და გაურჯელად,
საითაც მინდა, გავემგზავრები.
თბილად მოჩითულ ლოგინში ჩამტკბარს,
არც შუაგზაში გამიავდრდება,
არც ყინული ჩამიტყდება,
არც მგლების ალყა შემომხაზავს,
არც გველგესლა დამაბეჭდავს
წითელ ორწერტილს
ქაღალდის ტერფზე...

ცუდი ფიქრი განა კარგია! –
თუ მაინც სადმე ფლატე ჩამექცა,
განა დავუცდი,
ფსკერი ფილტვებს როდის ამივსებს,
მერე როდის ამკრავს ბურთივით,
რომელ ნაპირზე
რომელი ხე
ჩამავლებს ფესვებს;
როგორც კი ფლატე ჩამექცევა,
ჩითების ციხე-სიმაგრეში
გვერდს შევიბრუნებ.
ცუდი ფიქრი განა კარგია!
თანაც, თქვენსავით,
მეც ბავშვობის წარმოსახვებში მოვილიე
ჩემს კუბოსთან მოქვითინე ჩემიანების
თვალთვალი და ყურისგდება
გულაჩუყებით.
რაღა დროს ცუდი ფიქრებია! –
ვბერდები, ძვირფასებო, ვბერდები!
ტკბილი, – ოცნებაც მოსწრებაზეა.
მერე რა, რომ
ჩემი საათი არ მუშაობს;
არ მუშაობს, თორემ,
კი არ გაჩერებულა!
ვის გინახავთ გაჩერებული საათი!
წიხლით რომ მისდგე,
ცეცხლით რომ მისდგე,
მზე რომ მთვარეს შეახეთქო

და შუაში ეს მოაყოლო,
ვერ გააჩერებ.
ეს ერთადერთი ნივთია, რასაც:
ვერც გააფუჭებ,
ვერც გააჩუქებ,
ვერც დაკარგავ.
საათი რომ მოიშორო,
თავი უნდა მოიკლა,
და მართლა ამას ხომ არ იზამ და,
ის კიდე არ ჩერდება და, –
რა დროს ცუდი ფიქრებია!
ოცნებას ვიწყებ!
ახლავე უნდა წავიდე და
სულ მშვიდობით უნდა ვიარო;
რომ მენატრება, იქ მივიდე,
იქ ვიყო და იმათთან ვიყო;
ლხენით ვიყო,
შვებით ვიყო,
კარგად ვიყო;
და წავედი! –
ოცნება უნდა გავაჭენო;
გადავასწრო მერე, წინ დავხვდე,
წინ უნდა დავხვდე მე ჩემს ოცნებას,
ბეჭებზე დავცე,
ფრთით მაჯაზე გადავიგრიხო,
სულ თიმთიმა ხორცი შევაბა,
სულ ტკბილ-ტკბილად ჩავუნასკვო
ბოლოკეთილები,

„ლხინი აქა ფქვილი აქა“
გუმბათივით დავადგა და მოვაოქროვო;
საითაც გული ნდომით შემიხტეს,
დავძახოდე: ახდი! ასრულდი!
„ქარიყლაპიას ბრძანებით და ჩემი სურვილით“...
აქ მთავრდება
ამ ლექსის ერთი მონაკვეთი,
ოქროს გუმბათის სიახლოვეს;
ზემორე პათოსს
პაუზა უნდა გადავასხა ახლა წყალივით
და მორწყული ცეცხლის შიშინი გავურიო
ქვემორე სათქმელს, რომ:
... ჩემი თავის მიზეზი მე ვარ.
ჩემი ფიქრის მიზეზიც მე ვარ.
ვინც ეკრძალება სიხარულებს,
ვინც უხერხულობს ბედნიერებას,
როგორც ღატაკი უხერხულობს
ძვირფას სამოსს, უცაბედად გამოწყობილი,
ვინც ოცნებას შორიდან იწყებს,
ის ოცნებას თავს ვერასდროს გადაუწნავს.
ვინც რას ცხოვრობს, იმას ოცნებობს.
ყველა ფიქრი
მოფიქრალის თარგზე იჭრება;
ფიქრი ყველას მხარდამხარ მისდევს, –
ვერც გაასწრებ, ვერც ჩამორჩები.
ჩიტივით არის ფიქრი, ორივე
უხილავი ძაფით აბია.
ჩიტივით არის, იმ ჩიტივით,

დამწყვდეული
შიგნიდან რომ ელეწება გალიის კედლებს,
გამოუშვებ და, – გარედან ანგრევს.
ვინც რას ცხოვრობს, იმასვე ფიქრობს.
ვერცერთ ფიქრში ვერ დავადგი
გუმბათი ამბავს,
ვერცერთ ფიქრში ვერ მივედი
ფიქრის ბოლომდე.
ისე დიდხანს ვაგროვებ ნივთებს,
ვალაგებ ჩანთას,
მერე სანამ ბილეთს შევიძენ;
ყველა წვრილმანს ვაფერადებ,
გემოს ვატან,
მიმოვედები...
და ისე დიდხანს ეს ყველაფერი, –
შუაგზაზე
მე უკვე მძინავს.
ფიქრში პური რომ მოვინატრო,
მინდვრებიდან ვუახლოვდები:
სანამ მოვხნავ,
სანამ დავთესავ,
სანამ ჯეჯილს ავაბიბინებ,
სანამ ყვავილებს ჩავაყოლებ ყანისპირებზე...
მერე სანამ გამოცხვება
ფიქრის პური ფიქრის თონეში, –
მე უკვე მძინავს...
რად ეკრძალება ასრულებებს,
ვინც ოცნებას შორიდან იწყებს!

რაღაცა ახსოვს,
უეჭველად რაღაცა ახსოვს:
ან ნაძვისხის სათამაშო,
ბამბიან ყუთს მიბარებული,
აგვისტოში რომ მოინატრა, –
გლუვი, კრიალა,
სხივთა უკან დამბრუნებელი, –
შიგნიდან რომ ამოამტვრია სიცარიელემ
და გაფარჩხული, ორკაპა ყუნწი შეატოვა
პატარა ხელებს;
ან ბუდიდან ამოწელილი ლოფლოფა ბარტყი
(გასაზრდელად, განა სამტროდ!) –
შეუბრალებლად რომ მოუკვდა
პატარა ხელებს;
ან ყაყაჩო, –
მოწყვეტა რომ იუკადრისა
და მყის დაყარა ატლასები,
გზადაგზა და ფურცელ-ფურცელ ჩამოშალა,
განძარცვული მიჰყვა შინამდე
პატარა ხელებს...
აი, ასე:
არავინაც არ შეარგო თავისი თავი,
ყველამ ანანა...
სამაგიეროდ,
ფიქრის გურმანად მოაქციეს,
ოცნებების პირისგემო გააგებინეს.
ვინც ოცნებას შორიდან იწყებს,
იმის გზაზე

ყველა ნაბიჯი მსხმოიარობს, –
სივრცე მწიფეა იმის გზაზე;
დროც მწიფეა, –
მშობიარობს ყოველი წამი.
ვინც ოცნებას შორიდან იწყებს,
გზაში უფრო ბედნიერია;
შიმშილს იზოგებს, –
სურნელ-სურნელ, ნამცეც-ნამცეც
კრეფს სიხარულებს,
ვრცელი შიმშილი ურჩევნია
შემოღობილ მოყირჭებას...
არავინაც არ შეარგო თავისი თავი;
სამაგიეროდ, შეუძლია,
დაუნანებლად აუქნიოს ხელი, დაცინვით,
ამასოფლის ზიმზიმა ნადიმს,
სადაც ცხოვრებას
სისხლისფერი რქებით ფატრავენ
და სისხლისფერი კბილებიდან
გლეჯენ ერთმანეთს
სახელ-სახრავზე წასეულები,
და გაძღომამდე
თვალები ვერ აუხელიათ;
სადაც შიმშილი
თავაღებული ასპიტივით მანამ სისინებს,
სანამ გვირგვინად
ბოლო ლუკმასაც არ ჩაიმხობენ...
მიხვდა, – მყიფეა ყოველივე,
რაც ოცნების იერს დაიკრავს.

მალალია ბედნიერება, შეუხებელი, –
მხოლოდ სიზმარში თუ გადაგიფრენს,
ფრთას გაგკრავს,
წავა,
წაკაშკაშდება,
თვალებზე ჩრდილს გადაგატარებს...
და მაინც, ბევრი შეუძლია ადამიანს:
მოურგებელი სინამდვილისგან თავის დახსნას,
ბოლოს და ბოლოს,
ორი თვალის დახუჭვაც ყოფნის, –
ჩამოაფარებ ქუთუთოებს,
საშლელივით ჩამოუსვამ,
როგორც სველი ჩვრით ჩამოგეწმინდოს,
და მიადგები შენი ფუნჯით,
შენთვის,
თავიდან...
ვინც ოცნებას შორიდან იწყებს,
შეუძლია, შუაგზაზე დაეძინოს.
მიმხვდარია:
ცხოვრება განა საძღომია! კევივით არის, –
არომატისთვის ატრიალებ,
ღეჭვის ჟინის მოსაკლავად;
ისიც წყალობად მიითვალე,
თუ ოდესმე
ვინმემ თავი განატრებინა,
თუ ხვალ და ზეგ
თავს მოგანატრებს.
რა დროს ცუდი ფიქრებია, ძვირფასებო,

ტკბილი, – ოცნებაც მოსწრებაზეა.
რა დროს ასრულებებია! –
მე ოცნებას შორიდან ვიწყებ.
... თვალსაწიერზე
შეურყვნელი შუქი დამჯდარა;
მთავარია,
გუმბათს სუნთქვა არ მიაბჯინო.

2008. 1–21 ივნისი

ცალი გვერდი

საზამთროს ეპატიება
ის უფერული ცალი გვერდი, – მოუხატავი,
გვერდი, რომლითაც მიწას ეყრდნობა.
აბა, ისე როგორ გამოზრდის
თავის თავს და
თავის თავში სიტკბოს – სხვათათვის.
პოეტს კი ლამის დედაც დააყვედრონ,
ლამის ჭიპლარის ნაკვალევიც წამოაძახონ, –
სამოთხეზე დასმული წერტილი...
დალოცვილებო!
პოეტს საიდანღა
მუდამ სისხლისფრად მწიფე გული,
თუ არა ის ცალი გვერდი, – გარდაუვალი,
გვერდი, რომლითაც ცხოვრებას ეხება.
ცისკენ არის პოეზია, განა ციდან!
ციდან ლექსი კი არა და,
ხეირიანი, ერთი სიტყვაც არ მოგეცემა.
აქ უნდა მოიპოვო, სტრიქონ-სტრიქონ,
აქ უნდა მოთხარო, დამტვრეული ფრჩხილებით,
მიწაზე, მიწიდან,
სააღდგომო ენდროს ფესვებივით.

2008. 10 თებერვალი